# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

№73 (9753) 2024 წლის 21 ივნისი. ოთხშაბათი

ფასი 1 ლარი


## პოლიტიკური ჩიხი

# ქართველმა ხალხმა თქვენი ტყუილები არ მიიღო, ამერიკავ!




3

დიდი ხანია თქვენ ჩვენს ქვეყანას უყურებთ როგორც არშემდგარ სახელმწიფოს, ხოლო ქართველ ხალხზე გაქვთ მცდარი წარმოდგენა, თითქოს მას კარგისა და ავის გარჩევა არ შეუძლია!..

## საუკეთესო ინვესტიცია მომავალში...

ბიომრავალფეროვნების ფინანსირების ინიციატივის (BIOFIN), აზიის, ევროპისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების შეხვედრა წინანდალში

5





4

## NDI-ის ამორძალები რეგიონების დასალაშქრად ემზადებიან

## 1941-1945

## ხუთი კაიყმის გამზრდელი დედა და დიდი სამამულო ომი

8



## გვარის ერთსულოვნება ქვეყნის წინსვლის საწინდარია

8




7

## „ლაშარელას“ ალბომის პრეზენტაცია ჩარგალში

## სახალხო დამცველმა წლიური საპარლამენტო ანგარიში წარადგინა




4

სამწუხაროდ, საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის არაერთი ჩანაწერი პრობლემურია

## ევროპის უძველესი რესტორანი, სადაც ჰემინგუეის ყოფნა უყვარდა და გოია მრეცხავად მუშაობდა...



საქართველოს რესპუბლიკა

ადუღებული დრო

№73. პარასკევი, 21 ივნისი, 2024 წელი

# სატირა(ლი) ამბები

## პოლიტიკური შულერის გიორგი ვაშაძის ტყუილებს საზღვრები არა აქვს!

მძიმე სურათი რომ არის ოპოზიციაში, ეს გასაგებია, ვინ ვის შეუერთდეს და ვინ ვისთან შეუღლდეს, ამაზე ხომ უბრალოდ ერთ ბრძანებას ელოდებიან უცხოელი პატრონებისგან, მაგრამ ვაშაძის ფანტაზიას რომ საზღვრები არა აქვს, ესეც ხომ ფაქტია, - ასე ეხმიანება ექსპერტი ლევან ნიკოლეიშვილი, "სტრატეგია აღმაშენებლის" ლიდერის გიორგი ვაშაძის მიერ ბიძინა ივანიშვილის, ირაკლი კობახიძისა და ირაკლი ღარიბაშვილის შეხვედრაზე გავრცელებულ ინფორმაციას.



მისი თქმით, ვაშაძემ უნდა დაასაბუთოს, რომ მისი განცხადება ტყუილი არ არის და დაასახელოს ის პიროვნება, ვინც მას მმართველი გუნდიდან აღნიშნული შეხვედრის შესახებ აცნობა. თუმცა, ექსპერტი აცხადებს, რომ ვაშაძე ამას ვერ შეძლებს, რადგან ტრადიციულად ცრუობს.

„პოლიტიკური შულერი გიორგი ვაშაძე ამტკიცებს, რომ მას აქვს უტყუარი ინფორმაცია, რომ ბიძინა ივანიშვილმა ირაკლი კობახიძე და ირაკლი ღარიბაშვილი დაიბარა და... მოკლედ მაგრად უსაყვედურაო. მძიმე სურათი, რომ არის ოპოზიციაში, ეს გასაგებია, ვინ ვის შეუერთდეს და ვინ ვისთან შეუღლდეს, ამაზე ხომ უბრალოდ ერთ ბრძანებას ელოდებიან უცხოელი პატრონებისგან, მაგრამ ვაშაძის ფანტაზიას რომ საზღვრები არა აქვს, ესეც ხომ ფაქტია. ზაფხული მოდის, პოლიტიკური აქტივობები იკლებს, რამე სკანდალი ხომ არის საჭირო, ჭიჭე ვაშაძეც ადგა და დააბრეხვა „ნიუსი." არც ირაკლი კობახიძე და არც ირაკლი ღარიბაშვილი, მით უმეტეს ბიძინა ივანიშვილი ვაშაძეს არ ჩამოუჯდებოდა და არ მოუყვებოდა ამბებს, ვერც ვაშაძე ვერ შეძვრებოდა მაგიდის ქვეშ, რომ შეხვედრაზე გაჟღერებული ამბები მოესმინა, ვერც, სახურავიდან მიაყურადებდა, რაღა რჩება? ვაშაძე ამბობს გუნდიდან მითხრესო, აბა თუ ბიჭია დაადოს ხელი ამან და ამან მითხრაო, ვერ ამბობს, ან როგორ იტყვის, როცა არარსებულ ამბავზე საუბრობს? ე.ი. ტრადიციულად ტყუის, ცრუობს, ლაზღანდარობს, ან სხვა რა უნდა ქნას, სხვა რამე იცის?"



**ლევან ნიკოლეიშვილი**

## ერთი მხარე მეორეს ეტენება, ეს არის აბსურდი!

– **ოპოზიციას „განაცება" არ სჭირდებათ, ისედაც ნაცები არიან. როგორც ერთი ცნობილი ნაციონალი იტყოდა, მათ ე.წ. რექონზილიეიშენი სჭირდებათ.** დიდი ხანია, ამ ღონისძიებას მივესალმებით, მაგრამ საშველი რომ არ ადგებათ და ვერ ერთიანდებიან, ამაში „ქართული ოცნების" ხელს ვხედავ. არასერიოზული საუბარი საერთოდ არ მოგვწონს, როცა ერთი მხარე მეორეს სთავაზობს გაერთიანებას და მეორე ეუბნება, ნუ გვეტენებიო. ეს არის აბსურდი, რაც შეიძლება ქართულ პოლიტიკაში ხდებოდეს. როცა წინადადებაა ერთმანეთს ეუბნებიან, ნუ „გვეტენებიო" და რატომ ეუბნებიან, არ ვიცი. მიხეილ სააკაშვილმა რა წინადადებაც დააყენა, ასპროცენტიანია „ნაცურ" ოპოზიციასთან. არ ვიცი, სააკაშვილმა რა წინადადება უნდა დადოს, რომ მისი ყოფილი თუ მოქმედი თანაგუნდელები დათანხმდნენ ან იმაზე უკეთესი წინადადება როდის დაუდიათ? „ნაცმოძრაობა" ბევრ რამეს თმობს და ამაზე უარს ნაცური პარტიები ამბობენ, რაც უცნაურია".



**იაგო ხვიჩია**

# როგორი იქნება ქვეყნის განვითარების ოთხწლიანი გეგმა?!



## განათლების სფეროდან დაწყებული, მშენებლობით დამთავრებული — ყველაფერი მოწესრიგდება!

**პრემიერი ირაკლი კობახიძე რამდენიმე თვეში ახალ ოთხწლიან გეგმას წარადგენს, რომელიც საქართველოს განვითარების ყველა მიმართულებას მოიცავს. როგორც მმართველ გუნდში ამბობენ, ეს გეგმა ერთდროულად ამბიციურიც იქნება და რეალისტურიც.**

**მთავარი ამოცანაა, თვისობრივად გაძლიერდეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური, სავაჭრო, სატრანზიტო პოტენციალი. ამისთვის მსხვილი ინვესტიციები ჩაიდება ქვეყნის საგზაო, სარკინიგზო, საჰაერო, საზღვაო ინფრასტრუქტურაში, გაძლიერდება წარმოება, ექსპორტი, ფუნდამენტური ცვლილებები იგეგმება საგანმანათლებლო სისტემასა და ინფრასტრუქტურაში, განვითარდება ადამიანური რესურსები.**

**რა უნდა იყოს პრიორიტეტული მიმართულება ქვეყნისთვის, ამის შესახებ საკუთარ შეხედულებას გვაცნობენ ანალიტიკოსები.**



**ანალიტიკოსი რამაზ საყვარელიძე მიიჩნევს, რომ ქვეყნის განვითარების 4-წლიანი გეგმა, ალბათ, მოიცავს ყველა მიმართულებას, რადგან მოდის არჩევნები და პროგრამების ომიც აუცილებელი იქნება.**

ანალიტიკოსი ამბობს, რომ მიმდინარე წლის ფონზე კიდევ უფრო გაიზარდა აქცენტი ჩვენი ქვეყნის სატრანზიტო ფუნქციაზე, რასაც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის დროს ჩაეყარა საფუძველი. ახლა უკვე ნავთობზე კი არაა საუბარი, არამედ მთელ სატრანზიტო ინფრასტრუქტურის აწყობაზე.

**„თუკი ვლაპარაკობთ ტვირთების ტრანზიტზე, მაშინ ბიზნესის გადმოტანა სასარგებლო უნდა იყოს საქართველოში, რადგან საქართველო ფარავს კონკრეტულ რეგიონებს. საწარმოების გახსნაც აუცილებელია საქართველოში, ვინაიდან ეს საწარმოები კონკრეტულ რეგიონებზე უფრო იოლად იმუშავებენ, ვიდრე ევროპაში არსებული საწარმოები. სხვათა შორის, იწყება ეს ტენდენციაც საქართველოში. საწარმოო პოტენციალის განვითარებას საკუთარი პროფესიული კადრები სჭირდება, რაც საქართველოსთვის გამოწვევაა. ასევე, საჭიროა მშვიდობიანი გარემო, საჭიროა შესაბამისი სტრუქტურების განვითარება. კარგი იქნება, თუკი საქართველო აიღებს თავის თავზე იმას, რომ ის ხდება საქონლის, ბიზნესის, პოლიტიკუირი ინტერესების გამტარი, ასევე, პოლიტიკური ინტერესების შეხვედრის წერტილიც კი, რადგან აზერბაიჯან-სომხეთის ურთიერთობაში საქართველო შუამავლის როლს იღებს თავის თავზე და ეს ზოგადი მედიატორობა საქართველოს გეოგრაფიას უკავშირდება. ეს ყველაფერი ითხოვს რაღაცების განვითარებას, ამიტომ განათლების სფეროდან დაწყებული, მშენებლობით დამთავრებული, ამ სფეროების განვითარება, ალბათ, დღის წესრიგში იქნება"**, — აღნიშნა რამაზ საყვარელიძემ.

***



**ანალიტიკოსი ედიშერ გვენეტაძე** მიიჩნევს, რომ, პირველ რიგში, უნდა მიეხედოს განათლების სისტემას, ვინაიდან უმძიმესი ვითარებაა ამ სფეროში შექმნილი, ყველგან ჩაბუდებულია სოროსის ლეკვები, რომლებიც მარტო ხელს კი არ უშლიან, არამედ ანადგურებენ განათლების სისტემას. შემდეგი პრიორიტეტი უნდა იყოს ქვეყანაში ეკონომიკური ვითარების კიდევ უფრო გაუმჯობესება. შედარება არ არის იმასთან, რაც იყო მანამდე, მაგრამ აუცილებელია ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობა, რა თქმა უნდა, შესაძლებლობის ფარგლებში.

**— ჩვენ გვყავს ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდა ხელისუფლება. მიაქციეთ ჩვენს პრემიერს ყურადღება, კოლექტიურ დასავლეთში ერთი კაციც არ აღმოჩნდა, რომელიც ირაკლი კობახიძეს დისკუსიაში დაუჯდებოდა. არც ქვეყნის შიგნით, არც გარეთ კაცი არ აღმოჩნდა, რომელიც ყბადაღებულ „რუსულ კანონთან" დაკავშირებით დისკუსიაში შევიდოდა მასთან. ვერ ბედავენ მასთან დისკუსიას და იმიტომ. ეს არის უგანათლებულესი იურისტი, პოლიტიკოსი და ეს მან დაამტკიცა საკონსტიტუციო სასამართლოს მსვლელობისას, როდესაც პრეზიდენტ ზურაბიშვილის ადვოკატს, ადეიშვილის ყოფილ მოადგილეს ათქმევინა, მე ვამაყობ, რომ ადეიშვილის მოადგილე ვიყავიო. ამით პოლიტიკურად, იდეოლოგიურად, იურიდიულად ეს ადამიანი მიწასთან გაასწორა. ეტყობა, დასავლეთშიც ნანახი აქვთ ირაკლი კობახიძის ნიჭიერება, საქართველოში ეს ხომ იციან და იციან და ასი მეტრის მანძილზე ვერ ეკარებიან პროფესიულ და სახელმწიფო საქმეებში,** — აღნიშნა ედიშერ გვენეტაძემ.

ამასთან, ანალიტიკოსმა ყურადღება გაამახვილა, რომ ამ ოთხწლიან გეგმაში დაპირებულ სამართლიანობის აღდგენაზეც უნდა იყოს საუბარი. მართალია, ეტაპობრივად მიმდინარეობს სამართლიანობის აღდგენა და, ვინც მთავარი დამნაშავე, იყო, ყველა ან ჩასვეს ციხეში, ან უკვე მოიხადა სასჯელი, თუმცა არის კატეგორია, რომელიც „იმ ბეხრეკმა დედაკაცმა–ზურაბიშვილმა" შეიწყალა და გამოუშვა. ვინც გაქცეულია და შეფარებული ჰყავს უკრაინის ხელისუფლებას, ეს ყველამ მშვენივრად იცის.

**— გარდა ამისა, კიდევ ბევრი ადამიანი გრძნობს თავს „ნაციონალების" მაშინდელი რეჟიმისგან დაჩაგრულად, ისინი დღემდე ითხოვენ სამართლიანობის აღდგენას. მჯერა, რომ ეს აუცილებლად მოხდება, ვინაიდან 29 აპრილს ბიძინა ივანიშვილმა თავის სიტყვაში თქვა, რომ პოლიტიკურ-სამართლებრივად აუცილებლად დაისჯება ის ძალა, რასაც ჰქვია „ნაცმოძრაობა". ივანიშვილმა ზუსტად ასე თქვა, სამართლიანობა აღდგებაო. რასაც ვუკვირდები, 2012 წლიდან დღემდე ამ ადამიანმა რაც თქვა, ყველაფერი შეასრულა. ამ მხრივ გული მშვიდად მაქვს, ივანიშვილი ჰაერზე არაფერს ლაპარაკობს და სამართლიანობასაც აღადგენს. 2011 წლიდან, რაც შემოვიდა პოლიტიკაში, ასე ვთქვათ, ტყვია ტყვიაში ჩააჭინა. 2030 წელს ჩვენ ევროკავშირშიც შევალთ, ოღონდ განახლებულ, ქრისტიანული ღირებულებების და არა ლგბტ ევროკავშირში. ეს პროცესი დაწყებულია,** — გვითხრა ედიშერ გვენეტაძემ.

# ღიმილით ნათქვამი სამძიმარი



## პაველ ჰერჩინსკი: ამ კანონის მიღებამ გაყინა საქართველოს ევროინტეგრაცია

**— ევროკავშირი – საქართველოს ურთიერთობაში, ღრმა მწუხარებით უნდა გითხრათ, რომ ურთულეს პერიოდს გავდივართ. არაერთხელ ვთქვით, რომ უცხოური გავლენის შესახებ მოქმედი კანონი არახელსაყრელ ეფექტს მოახდენს საქართველოს ევროპულ მისწრაფებებზე. სამწუხაროდ, ეს მოხდა. მომდევნო კვირაში ევროკავშირი განიხილავს შედეგებს, დისკუსია ჯერ საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე გაიმართება, რამდენიმე დღის შემდეგ კი, ლიდერების დონეზე.**

პრეზიდენტები და პრემიერ-მინისტრები განიხილავენ და გადაწყვეტენ, რა ზომებს მივიღებთ საქართველოში ამ მოვლენებზე საპასუხოდ. ამ კანონმა საქართველოს წინსვლის პერსპექტივაზე უდავოდ უარყოფითად იმოქმედა. ამ კანონის მიღებამ გაყინა საქართველოს ევროინტეგრაცია. როგორც იცით, ევროკავშირში ინტეგრაცია საჭიროებს ერთსულოვნებას. ჩვენ უკვე მოვისმინეთ რამდენიმე ლიდერის საჯარო განცხადებები, რომ ისინი წინააღმდეგი იქნებიან საქართველოსთან გაწევრების შესახებ მოლაპარაკებების დაწყების, თუკი ეს კანონი ამოქმედდება, ის უკვე ამოქმედდა და შედეგები მომდევნო კვირაში გახდება ცნობილი...

# ქართველმა ხალხმა თქვენი ტყუილები არ მიიღო, ამერიკავ!

**– გუშინ ჩვენი „სტრატეგიული მეგობრის", აშშ-ის ელჩმა საქართველოში, ქალბატონმა რობინ დანიგანმა პირველი მწვავე და ქართველი ხალხის მიმართ უკიდურესად შეურაცხმყოფელი განცხადებები გააკეთა, რასაც ცხადია, უპასუხოდ ვერანაირად ვერ დავტოვებთ. თუ აქამდე ახალი ელჩი მეტ-ნაკლებად ცდილობდა, პოლიტიკური ლავირება მოეხდინა და არ შეხებოდა ისეთ თემებს, რაც პირდაპირ ურტყამს ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტს და დამოუკიდებლობას, ამჯერად ეს წითელი ხაზი მანაც გადაკვეთა. ეს გასაგებიცაა და მოსალოდნელიც იყო, რადგან იმ პიროებში, როცა აშშ-ის მოქმედი ადმინისტრაცია ჩვენს ქვეყანასთან დაკავშირებით არაადეკვატურ, ჩაგვრასა და შეურაცხყოფაზე დაფუძნებულ პოლიტიკას აწარმოებს, ელჩ დანიგანს არავინ მისცემდა უფლებას, რომ შედარებით ნეიტრალური პოზიციონირებით თავი აერიდებინა მოქმედ ხელისუფლებასთან ურთიერთობის გამწვავებისთვის.**

ქალბატონმა ელჩმა დაგვიწუნა ჩინეთთან ბოლო პერიოდში გაღრმავებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები და იქვე მიზეზიც დაასახელა - ჩინეთი რუსეთს აფინანსებს, რუსეთი თქვენი ქვეყნის ტერიტორიების ოკუპანტია და არ მესმის, რატომ უნდა გააღრმავო ეკონომიკური კავშირები იმ ქვეყნის მმართველ პარტიასთან, რომელიც საქართველოს ოკუპანტს აფინანსებსო... „შესაშური" ლოგიკაა, ვერაფერს იტყვი, მაგრამ შეუძლებელია, ელჩის ამ ლოგიკას გაჰყვე თუნდაც სერიოზული მსჯელობის დონეზე, რადგან გზად იმდენი ბუნებრივი ბარიერია, რომ გამორიცხულია დანიგანის ამ განცხადებამ ჩიხში არ შეგვიყვანოს.

პირველ რიგში, გვსურს, მარტივი კითხვა დავუსვათ რობინ დანიგანს – **თუ ჩინეთი აფინანსებს რუსეთს, ხოლო ამჟამად რუსეთი აწარმოებს ომს უკრაინაში და ახდენს მისი ტერიტორიების ოკუპაციას - რატომ აღრმავებს აშშ ყოველწლიურად ჩინეთთან ეკონომიკურ ურთიერთობებს?**

თუ ჩინეთთან ურთიერთობა სახიფათო და საფრთხის შემცველია, რატომ ამყარებს და აღრმავებს ევროკავშირი საკუთარ ეკონომიკურ და პოლიტიკურ კონტაქტებს და რატომ აკეთებენ ანალოგიურს ევროკავშირის ქვეყნები დამოუკიდებლად, გაერთიანების მიღმა?

აი, როგორ გამოიყურება რიცხვებში აშშ-ის და ევროპის 2023 წლის სავაჭრო ურთიერთობები ჩინეთთან:

აშშ-ჩინეთის წლიური სავაჭრო ბრუნვა 575 მილიარდი დოლარია, ხოლო 2017 წლიდან დღემდე აშშ-ის ეკონომიკაში ჩინური ინვესტიციების მოცულობა საშუალოდ წელიწადში 35 მილიარდ აშშ დოლარს აჭარბებს;

ევროკავშირის სავაჭრო ბრუნვა ჩინეთთან 860 მილიარდი დოლარია.

**რატომ ფიქრობთ, რომ ჩინეთთან ურთიერთობების გაღრმავება აშშ-ს და ევროკავშირს სიკეთეს მოუტანს, ხოლო ჩვენთვის სახიფათოა?** საქმე ისაა, რომ დიდი ხანია, თქვენ ჩვენს ქვეყანას უყურებთ როგორც არშემდგარ სახელმწიფოს, ხოლო ქართველ ხალხზე გაქვთ მცდარი წარმოდგენა, თითქოს მას კარგისა და ავის გარჩევა არ შეუძლია, მაგრამ საბედნიეროდ, ასე არ არის.

ქართველმა საზოგადოებამ ბოლო 30 წლის განმავლობაში კარგად ისწავლა კეთილისა და ბოროტის, ქვეყნისთვის სასარგებლოსა და საზიანოს გარჩევა და როდესაც გვეუბნებით, რომ თქვენ ივაჭრებთ ჩინეთთან, მაგრამ ჩვენ არ გვაქვს ამის უფლება, ჩვენ ისე მოვიქცევით, როგორც ჩვენს ქვეყანას და მის განვითარებას წაადგება. ერთადერთი ქვეყანა, რომელიც მძიმედ დაზიანდება, თუ საქართველო ჩინეთთან გაწყვეტს ეკონომიკურ ურთიერთობას, სწორედ საქართველოა. ჩინეთის ეკონომიკაზე საქართველოსთან ვაჭრობა და აქ ინვესტიციების განხორციელება, ან პირიქით - ეკონომიკური ურთიერთობების მთლიანად გაწყვეტა ჩინეთისთვის არაფერს ნიშნავს და მის ეკონომიკაზე ოდნავადაც ვერ აისახება, სამაგიეროდ საქართველოსთვის აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. შეგახსენებთ, რომ სწორედ ასეთივე უხეში ფორმით ითხოვდით რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებისთანავე, დაგვეწესებინა სანქციები რუსეთისათვის და ერთი ხელის მოსმით გაგვეწყვიტა ყველანაირი ეკონომიკური და სავაჭრო კონტაქტები, მაგრამ ეს არ გავაკეთეთ. მიზეზი აქაც მარტივი იყო - ამ უგუნური ნაბიჯით რუსეთს ვერაფერს დავაკლებდით, ხოლო ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას და ქართველ ხალხს ნამდვილად გამოვუწერდით ჩვენივე ხელით „უმძიმეს სანქციებს", რომელთა შედეგები ათეული წლების განმავლობაში მძიმე დაღად დააჩნდებოდა ჩვენი ხალხის ცხოვრებას.



**ილუზია და ქართველი ხალხის დაცინვაა თქვენი მხრიდან მუდმივი აპელირება 6-მილიარდიან დახმარებაზე, რომელიც, თურმე, 30 წლის განმავლობაში ქართველ ხალხს მოახმარეთ. ჯერ ერთი, საქართველოში შემოსული ამერიკული დახმარება, რაც ჩვენ დავითვალეთ, არის არა 6, არამედ, დაახლოებით 4 მილიარდი დოლარი 30 წლის განმავლობაში. და მეორე - ამ თანხის დიდი ნაწილი, სამწუხაროდ, დაიხარჯა საქართველოში თქვენს მიერ დაფინანსებული ენჯეოების ხელით თქვენივე საყვარელი პარტიის - „ნაცმოძრაობის" - ჯერ ხელისუფლებაში მოყვანისათვის, შემდეგ მისივე უწყვეტი მხარდაჭერისათვის. და მესამე - დღეს უკვე ეს თანხები ძირითადად ისევ იმ ენჯეოებს ხმარდება, რომლებიც ჩვენი სამშობლოსთვის ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევიან და რომელთაც ერთადერთ მიზნად „ქართული" აგენტურული ქსელის, არაერთგზის სახე და სახელცვლილი, მაგრამ მარად მონებად და სამშობლოს გამყიდველებად დარჩენილი ნაცმოძრაობის ხელისუფლებაში დაბრუნება განუზრახავთ.**

**იძულებულნი ვართ, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ის წვლილი, რაც საქართველომ, თქვენთან პარტნიორობის ფარგლებში, საერთაშორისო მისიებში შეიტანა. ჩვენი მონაწილეობის გარეშე მხოლოდ ავღანეთის მისია აშშ-ს მინიმუმ ორი მილიარდი დოლარით მეტი დაუჯდებოდა, თუმცა ეს არც არის სახსენებელი იმ ადამიანურ მსხვერპლთან, რაც ჩვენმა სამშობლომ და ხალხმა ამ მისიაში გაიღო.**

ცალკე საუბრის და გამოძიების თემაა 2008 წლის აგვისტოს ომის პერიპეტიები, როცა, ჩვენი სამშობლოს 20 პროცენტის ოკუპაციის შემდეგ, ქვეყანაში მართლაც დაიხარჯა სოლიდური ამერიკული „ფინანსური დახმარება", მაგრამ სანამ ამ დახმარების საჭიროება დადგებოდა ქვეყანაში, თქვენმა საყვარელმა პარტიამ ყველაფერი გააკეთა, რომ საქართველო სწორედ ამ უმძიმესი მოცემულობის წინაშე დამდგარიყო. დიახ, აგენტურამ 2008 წელს მოაწყო უმძიმესი პროვოკაციები და რომ არა ეს მიზანმიმართული ბოროტება საკუთარი ქვეყნის მიმართ, რომ არა დავალებების უსიტყვო შესრულება და მონური მორჩილება, საქართველო ომის ქარცეცხლში არ გაეხვეოდა, არ იქნებოდა ასობით ქართველის მსხვერპლი, არ გვეყოლებოდა 35 000 ახალი დევნილი, არ მოხდებოდა საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტის ოკუპაცია და ეკონომიკის სერიოზული ჩამოშლა.

**სერიოზული კითხვის ნიშნები გვაქვს ამ პროცესებში თქვენს როლთან და ფუნქციასთან დაკავშირებით, რადგან დღეს უკვე პატარა ბავშვმაც კი იცის საქართველოში, რომ სააკაშვილი და მისი აგენტურული ბანდა სწორედ რომ ოკუპაციის გამოსაწვევად ასრულებდა უმძიმეს დავალებებს საქართველოს წინააღმდეგ. სწორედ აგვისტოს ამ მოვლენების შემდეგ დაერქვა რუსეთს „ოკუპანტი", ხოლო აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორი, რაც უკვე შემდგომ წლებში – ვიდრე დღემდე, მეტ-ნაკლები წარმატებით გამოიყენება პროპაგანდის საწარმოებლად და საზოგადოებრივი აზრის ტერორისთვის. აგვისტოს ომის შემდეგ გაწეულ დახმარებაზე კი (რაც აშშ-ის მიერ საქართველოსთვის გაწეულ დახმარებაში სერიოზულ წილს შეადგენს) მარტივად გეტყვით – თქვენ უბრალოდ სხვა გამოსავალი არ გქონდათ, რადგან ომისგან ჩამოქცეულ ეკონომიკაში ფული რომ არ „ჩაგესხათ", ამ ჩამოქცეულ ეკონომიკას თქვენი საყვარელი ნაცმოძრაობაც თან გადაჰყვებოდა. სინამდვილეში, თქვენ ეს ფული თქვენივე აგენტურის ხელისუფლებაში დასატოვებლად გადაიხადეთ. დიახ, ეს იყო თქვენი მიზნებისთვის გაწეული ხარჯი, თორემ ათიათასობით დევნილისთვის წეროვანის ბარაკებში ჩასახლება როგორი „ღირსეული" დახმარებაცაა, ამას ქართველი ხალხი კარგად ხედავს.**

მიუხედავად ამ ყველაფრისა, თქვენ მაინც ჯიუტად დახმარებად გვითვლით და მუდმივად გვამადლით იმ მითიურ ექვს მილიარდს, რომელიც სინამდვილეში ოთხი მილიარდიც არ არის და ძირითადად, თქვენივე აგენტურის გამაგრებას და მათ გაძლიერებას ხმარდება. ამიტომ, კიდევ ერთხელ დაჟინებით გთხოვთ, გამოაქვეყნოთ თანხების დეტალური ხარჯთაღრიცხვა და საზოგადოებისთვის ყველაფერი ნათელი გახდება.

თქვენ რომ ჩვენს ქვეყანასთან ნამდვილად მეგობრული ურთიერთობა და სტრატეგიული პარტნიორობა გსურდეთ, ანაკლიის პორტს სწორედ ამერიკული ინვესტიციით ააშენებდით, თანაც - დიდი ხნის წინ. მიუხედავად არაერთი შემოთავაზებისა, თქვენ ყველა ჯერზე უარი თქვით პორტის აშენებაზე და ახლა, როცა რეალური ინვესტორი გამოჩნდა, ამ პროექტისა და მისი ინვესტორების მიმართ თქვენი დამოკიდებულებით ნათლად აჩვენებთ, რომ ერთადერთი მიზანი, რაც თქვენ გამოძრავებთ, არის პროექტის ჩაშლა და პორტის მშენებლობის გაუქმება.

თქვენ რომ ჩვენს ქვეყანასთან ნამდვილი სტრატეგიული კომუნიკაციით იყოთ დაინტერესებულნი, საქართველოს მოქალაქეები აშშ-ის ვიზების გაცემის სტატისტიკით სამარცხვინოდ არ იქნებოდნენ ავღანეთის გვერდით, იმ ავღანეთის, სადაც დემოკრატიის დასამყარებლად წლების განმავლობაში ამერიკელ ჯარისკაცებთან ერთად ვიბრძოდით და სისხლი დავღვარეთ, ბოლოს კი პასუხად ის მივიღეთ, რომ ავღანელები უფრო ხშირად იღებენ აშშ-ის ვიზებს, ვიდრე ქართველები. რა ჰქვია ამას, სტრატეგიული პარტნიორობა თუ ჩვენი ქვეყნისა და ხალხის დაცინვა და შეურაცხყოფა?

სამწუხაროდ, „სტრატეგიული პარტნიორისგან" ჩვენ აღარაფერი გვიკვირს და აღარაფერი გვაოცებს. უფრო მეტიც - ყველა თქვენი შემდეგი სვლა და მოწოდება ჩვენთვის ნაცნობი და მოსალოდნელია. როგორც ახლა გვეუბნებით, რომ თურმე თქვენ ივაჭრებთ ჩინეთთან, გააღრმავებთ ეკონომიკურ ურთიერთობებს, მაგრამ ჩვენ ამის უფლება არა გვაქვს, რადგან, თითქოს ეს ურთიერთობა ჩვენ დაგვაზიანებს. ზუსტად ასე გვეუბნებოდით, რომ გამჭვირვალობის კანონი, რომელიც თითქმის 80 წელია, აშშ-ში მოქმედებს და წარმატებით იცავს ამერიკის სახელმწიფოსა და ამერიკულ დემოკრატიას, საქართველოსთვის დამღუპველი იქნებოდა. საბედნიეროდ, ქართველმა ხალხმა ეს ტყუილი არ მიიღო და ამგვარი ორმაგი სტანდარტი მიუღებლად და შეურაცხმყოფელად მიიჩნია.

**ნუ გაგიკვირდებათ და ნუ შეშფოთდებით, თუ ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ სწორედ იმას გავაკეთებთ, რასაც თქვენ აკეთებთ თქვენი ქვეყნის უკეთესი ხვალინდელი დღისთვის. და რადგან თქვენ სიტყვით გვაჯერებთ, რომ ჩვენი მეგობრები ხართ, ხოლო საქმით სრულიად საპირისპიროს ვხედავთ, ვიტოვებთ უფლებას, თავად გადავწყვიტოთ, როგორ წარვმართოთ ჩვენი ქვეყნის ხვალინდელი დღე და როგორც ხალხის წინაშე ანგარიშვალდებული პოლიტიკური ძალა, ყველაფერს გავაკეთებთ ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტის გასაძლიერებლად და ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, თუნდაც ეს იმ - მხოლოდ ფურცელზე დაწერილი და ჰაერზე ნათქვამი - „სტრატეგიული პარტნიორობის" გადახედვად დაგვიჯდეს, რის მუქარასაც ბოლო პერიოდში სულ უფრო ხშირად ვისმენთ და თანაც ყოველ ჯერზე უფრო და უფრო მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირებისგან..."**

**„ხალხის ძალა"**
**20. 06. 2024**

**ლევან იოსელიანი:**

# სამწუხაროდ, საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის არაერთი ჩანაწერი პრობლემურია




# სახალხო დამცველმა წლიური საპარლამენტო ანგარიში წარადგინა

**საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომაზე 2023 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ ანგარიში წარუდგინა, – ამის შესახებ ინფორმაციას სახალხო დამცველის აპარატი ავრცელებს.**

ანგარიშის თემატური მიმოხილვისას სახალხო დამცველმა საოკუპაციო რეჟიმის მიერ თამაზ გინტურის მკვლელობას – დავით ბაშარულის, გიგა ოთხოზორიას, არჩილ ტატუნაშვილისა და ირაკლი კვარაცხელიას მკვლელობაში უშუალოდ მონაწილე საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლების დაუსჯელობის გამოძახილი უწოდა, რაზეც პასუხისმგებლობა რუსეთის ფედერაციას ეკისრება. აქვე აღნიშნა საოკუპაციო ძალების მიერ საქართველოს მოქალაქის თემურ კარბაიას სიცოცხლის ხელყოფის სავარაუდო ფაქტი.

სიცოცხლის ხელყოფასთან ერთად, ოკუპირებულ ტერიტორიებზე კვლავ გრძელდება მოქალაქეთა უკანონო დაკავებებისა და არასათანადო მოპყრობის პრაქტიკა; ეთნიკურად ქართველ მოსახლეობას არ ეძლევა მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შესაძლებლობა; ხოლო უკანონო ე.წ. ბორდერიზაციის პროცესი, საკუთრებისა და სხვა სახის უფლების დარღვევა, ყოველდღიურ გამოწვევად რჩება საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობისათვის.

გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის პრევენციის, აღკვეთის, მსხვერპლთა დაცვის და დახმარების მიმართულებით არსებული ხარვეზების შედეგია 14 წლის აითაჯ შახმიროვას შემზარავი განზრახ მკვლელობის ფაქტი. მთლიანობაში 2023 წელს 24 ქალის მკვლელობისა და 27 ქალის მკვლელობის მცდელობის ფაქტი გამოვლინდა.

2024 წლის მარტის თვეში შსს-მ დააკმაყოფილა სახალხო დამცველის აპარატის თხოვნა შოვის ტრაგედიის შესახებ მიმდინარე გამოძიების მასალების საგამონაკლისო წესით გაცნობის თაობაზე, თუმცა საქმის მასალებზე ფაქტობრივად დაშვებას ჯერ კიდევ ველოდებით.

ქვეყნის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა ბავშვთა სიღარიბეა. „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული ბავშვების რაოდენობა წინა წელთან შედარებით 5,2%-ით გაიზარდა. მოსახლეობის განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფს განეკუთვნებიან ასევე ხანდაზმულები.

2023 წელს აქტუალური იყო მშვიდობიანი შეკრების სარგებლობასთან დაკავშირებული გამოწვევები, შეკრების ფორმისა და შინაარსის შეზღუდვის საკანონმდებლო ინიციატივები, შეკრების დაშლის მიზნით განხორციელებული არაპროპორციული და, ზოგიერთ შემთხვევაში, არალეგიტიმური ღონისძიებები.

2024 წელს ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირების უმრავლესობას ფიზიკური დაზიანებები აღენიშნებოდა, რაც მოწმობს, რომ წელს სამართალდამცავები უფრო მეტად იყენებდნენ ფიზიკურ ძალას დაკავებულების წინააღმდეგ, ვიდრე ეს გასულ წელს ხდებოდა.

ქვეყანაში გამოწვევას წარმოადგენს მედიის თავისუფლებისა და ჟურნალისტების საქმიანობისთვის შესაბამისი უსაფრთხო გარემოს არარსებობა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მარეგულირებელი მოძველებული კანონმდებლობა.

შემაშფოთებელი იყო „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის პროექტების ინიცირება, რომლებიც არ შეესაბამება გაერთიანებისა და გამოხატვის თავისუფლების, ასევე პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვის სტანდარტებს. სამწუხაროდ, 2024 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის არაერთი ჩანაწერი პრობლემურია, რაც კანონის ადრესატებისთვის ღირსების შემლახავი შეიძლება გახდეს.

წლებია, გამოწვევას წარმოადგენს პენიტენციური დაწესებულებების გადატვირთულობა და არაფორმალური მმართველობის ცალკეული შემთხვევები; დეესკალაციის ოთახსა და სამარტოო საკანში პატიმრების ხანგრძლივი, არამიზნობრივი და დასჯის მიზნით მოთავსება; არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოვლენა და დოკუმენტირება, პატიმართა ადეკვატური სამედიცინო სერვისით უზრუნველყოფა და პენიტენციური დაწესებულებების ფიზიკური გარემო.

აუცილებელია, დაიხვეწოს პატიმართა პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლებისა თუ სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის მექანიზმთან დაკავშირებული ნორმატიული ბაზა.

ფსიქიატრიულ დაწესებულებებში პაციენტები კვლავ ხდებიან ძალადობის მსხვერპლები. სამართლებრივი ჩარჩო და არსებული პოლიტიკა ვერ უზრუნველყოფს პაციენტების მკურნალობას ღირსეულ და იძულებისაგან თავისუფალ გარემოში. არ განახლებულა პაციენტების შეზღუდვის მეთოდების გამოყენების ინსტრუქცია და წესები.

თანასწორობის პოლიტიკის და დაუცველი ჯგუფების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად სახელმწიფოს არ გადაუდგამს ქმედითი ნაბიჯები, არ გაუმჯობესებულა არც პოლიტიკის დოკუმენტები, არც საკანონმდებლო რეგულირება.

პრობლემად რჩება ბავშვობის ასაკში ქორწინებისა და ნიშნობის მავნე პრაქტიკის აღმოფხვრა და გოგონების სათანადოდ დაცვა. გამოწვევაა რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლების ეფექტიანი განხორციელება და სერვისებზე წვდომა.

მისასალმებელია სამედიცინო სფეროში დასაქმებული პირების საათობრივი ანაზღაურების მინიმალური ზღვრის დაწესება. თუმცა, კვლავ ღიაა ციფრულ პლატფორმაზე დასაქმებულ პირთა შრომითი უფლებებით სარგებლობის საკითხი და კერძო დამსაქმებლების მხრიდან ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლისთვის შვებულების ანაზღაურების ვალდებულება.

**სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობის მიმოხილვისას უნდა აღინიშნოს, რომ 2023 წელს აპარატში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების შესახებ შემოვიდა 4849 განცხადება, რომლებზეც შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება განხორციელდა. ცხელ ხაზზე დაფიქსირდა 17567 ზარი. გამოვლენილი უფლებადარღვევების აღმოსაფხვრელად სახალხო დამცველის აპარატმა 79 რეკომენდაცია/წინადადებით მიმართა სახელმწიფო უწყებებს. საერთაშორისო ორგანოებს წარედგინათ 10 სპეციალური ანგარიში და 3 ალტერნატიული ანგარიში. მომზადდა 3 კონსტიტუციური სარჩელი, 23 სასამართლო მეგობრის მოსაზრება და გაიგზავნა 3 კომუნიკაცია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტში. უფლებადარღვევებისა და გამოწვევების იდენტიფიცირებისა და მონიტორინგის მიზნით ათეულობით ვიზიტი განხორციელდა სხვადასხვა დაწესებულებებში.**



# NDI-ის ამორძალები რეგიონების დასალაშქრად ემზადებიან

**„პარლამენტარები ევროპული მომავლისთვის“, - პროექტის ფარგლებში, 7 ოპოზიციონერი ქალი დეპუტატი რეგიონებში შეხვედრებს იწყებენ. მიზანი ადგილობრივ მოსახლეობასთან მიმდინარე პოლიტიკურ საკითხებსა და ევროინტეგრაციის პროცესზე საუბარი იქნება. აქ მნიშვნელოვანია ის, რომ ოპოზიციონერი ქალბატონების ვოიაჟს ფინანსურ მხარდაჭერას გაერთიანებული სამეფოს მთავრობა უზრუნველყოფს, მხარდამჭერი კი ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტია.**

აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში, იმ ქალი დეპუტატების კამპანია ფინანსდება, რომლებსაც სალომე ზურაბიშვილის ქარტიაზე აქვთ ხელი მოწერილი. სახელისუფლებო გუნდი სვამს კითხვას - როგორ ხდება, რომ საერთაშორისო ორგანიზაცია თან კონკრეტულ ოპოზიციონერებს აფინანსებს და, ამასთანავე, არჩევნებს აკვირდება?! ამ საკითხთან დაკავშირებით NDI-ს წარმომადგენლობაში კომენტარს არ აკეთებენ.

ის, რომ უცხოური ფულით იწყებს საარჩევნო კამპანიას, ამაში პრობლემას ვერ ხედავს ოპოზიციონერი დეპუტატი თეონა აქუბარდია, რომლის განცხადებით, მიზანი არის, ესაუბრონ ხალხს, რომელსაც სურს ამ ქვეყნის ევროპული მომავალი და კეთილდღეობა.

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, უცხოური დაფინანსებით პოლიტიკური ძალების წარმომადგენელი დეპუტატები როდესაც დადიან, ანგარიშს აბარებენ მოსახლეობას, ეს არის საარჩევნო აგიტაციის პირდაპირი დაფინანსება. **ირაკლი კობახიძის** განცხადებით, ასეთი პრაქტიკა კანონს ეწინააღმდეგება.

**– ეს უკვე არის საარჩევნო რეჟიმი. როდესაც უცხოური დაფინანსებით კონკრეტული პოლიტიკური ძალების წარმომადგენელი დეპუტატები დადიან და ანგარიშს აბარებენ მოსახლეობას, ეს არის საარჩევნო აგიტაციის პირდაპირი დაფინანსება, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობას, შესაბამისად, მიუღებელია. ამით ვერავითარ პრაქტიკულ გავლენას ვერ მოახდენენ, საბოლოო ჯამში, არჩევნების შედეგებზე, მაგრამ კანონს ასეთი პრაქტიკა პირდაპირ ეწინააღმდეგება,** – აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **დავით მათიკაშვილი** აცხადებს, რომ ეს პირდაპირი მნიშვნელობით წინასაარჩევნო პროცესის დაფინანსებაა, რომელთან შემხებლობა, რა თქმა უნდა, NDI-ს არ უნდა ჰქონდეს და მისი ფუნქცია, პირველ რიგში, არის სადამკვირვებლო მისია. როგორც დეპუტატი აცხადებს, NDI-მ ყველაზე კარგად იცის, რომ ამ სიბრტყეში სწორედ წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში უხდის რადიკალ ოპოზიციონერებს ფულს, როდესაც NDI-მ ეს ფული შეიძლება, გადაიხადოს პარტიის გასაძლიერებლად, რაც საერთოდ არ გულისხმობს იმას, რომ წინასაარჩევნო, ამომრჩევლებთან შეხვედრები უნდა დააფინანსოს.

ანალიტიკოს **ზაალ ანჯაფარიძის** შეფასებით, „ოპოზიციონერმა დეპუტატმა ქალებმა“ დამალეს, რომ ხალხთან შეხვედრები NDI-მ დაუფინანსა. შესაბამისად, ანალიტიკოსის გაცხადებით, ეს ფაქტი ადასტურებს იმას, რომ უცხოელმა დონორებმა ჯერ კიდევ საარჩევნო კამპანიის გახსნამდე დაიწყეს ჩვენს არჩევნებში ჩარევა.

**– „ოპოზიციონერი დეპუტატი ქალები“ NDI-ს ფულით მოწყობილ შეხვედრებს ანტისახელისუფლებო აგიტაციისთვის გამოიყენებენ. ისტორიაში ყველაზე ამორალური ის არის, რომ ამ „ოპოზიციონერმა დეპუტატმა ქალებმა“ საზოგადოება მოატყუეს – თითქოს მათი პირადი ინიციატივა იყო რეგიონებში ხალხთან შეხვედრა. რატომ დამალეს, რომ ეს ყველაფერი NDI-მ დაუფინანსა? ან თავად NDI-მ რატომ არ განაცხადა, რომ მისი ფულით ხდება ეს ვოიაჟი?**

**ამ პარლამენტში შემთხვევით მოხვედრილ ქალ დეპუტატებს რომ ხალხი არ ანაღვლებთ და მხოლოდ საკუთარი პიარისთვის სჭირდებათ რეგიონში ჩასვლა, ეს ყველამ ვიცით, მაგრამ როდესაც ამას გარედან მიღებული ფულით აკეთებ, ამას უკვე სხვა ელფერი დაკრავს. გასაგებია, რომ NDI-ს ფულით მოწყობილ ამ შეხვედრებს ისინი ანტისახელისუფლებო აგიტაციას მოანდომებენ. გამოდის, რომ უცხოელმა დონორებმა ჯერ კიდევ საარჩევნო კამპანიის გახსნამდე დაიწყეს ჩვენს არჩევნებში ჩარევა“,** – აცხადებს ზაალ ანჯაფარიძე.

ა-ო „რეგიონული განვითარების და ხელშეწყობის ცენტრის“ ხელმძღვანელი **დავით ჩიხელიძე** აცხადებს, რომ აღნიშნულ ქმედებას მრავალი წახნაგი აქვს და იმაზე დიდ პრობლემას წარმოადგენს, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს.

**„ე.წ. მეგობარი სახელმწიფოები და ორგანიზაციები პატივს არ სცემენ ქართულ კანონმდებლობას და მათი სიტყვის მიღმა, ქვეყნისთვის ძირგამომთხრელი საქმიანობა იმალება. მეორე მხრივ, დასტურდება, რომ გვყავს უპასუხისმგებლო ოპოზიცია, რომელსაც სიმართლესთან ორგანული შეუთავსებლობა აქვს და პირადი ინტერესების გამო ყველაფერზე მიდის. ასევე მნიშვნელოვანია ერთი ფაქტორი, მსგავსი აქტივობა ერთჯერადი ხასიათის იყო თუ განმეორებადი? ჩემი ინფორმაციით, მრავალი პარტია, პარტიულ საქმიანობას არასამთავრობო ორგანიზაციების ფინანსური მონაწილეობით ახორციელებს. აღნიშნული ფაქტით შესაბამისი საგამოძიებო ორგანოები უნდა დაინტერესდნენ“,** - აცხადებს დავით ჩიხელიძე.

**თამთა ქარჩავა**

# საუკეთესო ინვესტიცია მომავალში...



## ბიომრავალფეროვნების ფინანსირების ინიციატივის (BIOFIN), აზიის, ევროპისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების შეხვედრა წინანდალში

**ახლახან,11-13 ივნისს წინანდალში ჩატარდა ბიომრავალფეროვნების ფინანსირების ინიციატივის (BIOFIN), აზიის, ევროპისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების შეხვედრა. ეს მე-10 რეგიონული დიალოგი (EAPAC) მიეძღვნა გამოცდილების და სტრატეგიების გაზიარებას ბიომრავალფეროვნების დაფინანსების გაუმჯობესებისთვის, რეგიონული თანამშრომლობის გაღრმავებისა და ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის მხარდასაჭერად ინოვაციური ფინანსური გადაწყვეტილებების ხელშეწყობას.**

**შეხვედრა ორგანიზებული იყო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსის სოლომონ პავლიაშვილის მიერ. სწორედ მისი ინიციატივით მოეწყო ეს მნიშვნელოვანი შეხვედრა საქართველოში, 69.000 კვადრატული კილომეტრის მქონე ქვეყანაში, რომელშიც 30-მდე ნიადაგობრივი კლიმატური ზონა მდებარეობს, 26 ათასი მდინარე იღებს სათავეს, ყველა სახის კლიმატი გვხვდება ტუნდრის გარდა, 1000-ზე მეტი ენდემური მცენარე ხარობს. მცენარეებში, ცხოველებში, მწერებში, მიკროორგანიზმების ყველა ტაქსონომიურ ჯგუფში ვლინდება საქართველოს ბიომრავალფეროვნების უნიკალურობა. ცხადია, ყველაფერმა ამან იქონია გავლენა იმაზე, რომ შესაბამისი მსჯელობის შედეგად მასპინძელ ქვეყნად საქართველო იქნა ამორჩეული. ამას ემატება ის სწორი პოლიტიკა რომელსაც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ბიომრავალფეროვნების და ეკოლოგიის დარგში ატარებს.**

ღონისძიებას დაესწრო 70-ზე მეტი ბიომრავალფეროვნების ფინანსირების ექსპერტი, მეცნიერი და მთავრობის წარმომადგენელი 17 ქვეყნიდან. შედგა გამოცდილების გაზიარება, შეფასდა არსებული შესაძლებლობები, განხორციელდა ბიომრავალფეროვნების ფინანსირების გეგმების განხილვა და ფინანსირების ახალი გადაწყვეტის მოძიება.

ამასთან ერთად, აკადემიური, ღრმად მეცნიერული მიდგომით გაიმართა მსჯელობა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა ბიომრავალფეროვნება, დარგის ფინანსირება სოფლის მეურნეობაში. განხილული იქნა ფინანსური სექტორის ჩართულობა, პოზიტიური წახალისება, შედეგის მომტანი ინვესტიციები, საზიანო სუბსიდიების გადამისამართება, საზოგადოების ჩართულობა და ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგიები.

ღონისძიება მისასალმებელი სიტყვით გახსნეს აკადემიკოსმა, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ სოლომონ პავლიაშვილმა, UNDP-ის მუდმივი წარმომადგენლის მოადგილემ საქართველოში ანნა ჩერნიშოვამ, UNDP-ის ბიომრავალფეროვნების ფინანსირების პორტფელის ხელმძღვანელმა ონნო ვან დენ ჰეუფელმა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსმა გიორგი კვესიტაძემ. შეხვედრამ წარმატებით ჩაიარა, მოისმინეს 50-მდე, სხვადასხვა მიმართულების პანელური მოხსენება, შესაბამისი დისკუსიებით და დასკვნებით.

სხვა მნიშვნელოვან პრობლემებთან ერთად, რომლებიც მსჯელობის საგანი გახლდათ, უნდა აღინიშნოს, რომ ეს დიალოგი გამოცდილების გაზიარების უმნიშვნელოვანესი პლატფორმაა ბიომრავალფეროვნების ფინანსირების ექსპერტებისთვის ევროპის, აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნებიდან. დიალოგის მონაწილეები გაეცნენ რესურსების მობილიზების ინოვაციურ სტრატეგიებს, როგორიცაა ინფორმაციის გასაჯაროების ჩარჩოები, სუბსიდირების გადამისამართება, სადაზღვევო მექანიზმები და რისკების მართვის სტრატეგიები.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ბიომრავალფეროვნება და ეკოლოგია საბუნებისმეტყველო დარგებში უახლოეს და ხშირად ერთსა და იმავე პრობლემებს განიხილავენ, ნათელი ხდება, რომ ბიომრავალფეროვნების ფინანსირება კრიტიკულად მნიშვნელოვანია გარემოსდაცვითი მდგრადობისთვის, მსოფლიოს საზოგადოების კეთილდღეობისა და მსოფლიოს გლობალური განვითარების მიზნების მისაღწევად.

საერთაშორისო დონეზე თუ განვიხილავთ ბიომრავალფეროვნების პრობლემებს, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს დარგის ყოველწლიური ფინანსური დეფიციტი, რომელიც ბიომრავალფეროვნების გლობალურ ფარგლებში უდრის 700 მილიარდ აშშ დოლარს. ბიომრავალფეროვნებასთან და ეკოლოგიასთან არსებული საერთაშორისო მდგომარეობის გათვალისწინებით ფინანსური დეფიციტის აღმოფხვრა და რესურსების ეფექტიანი მობილიზება შესაძლებელია მხოლოდ ერთიანი ძალისხმევით, რომელშიც ქვეყნის მთავრობა, კერძო სექტორი, არასამთავრობო ორგანიზაციები და ადგილობრივი საზოგადოებები უფრო აქტიურად უნდა ჩაერთონ. აღნიშნული დეფიციტის შევსების მიზნით, ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენციის ფარგლებში, მუშავდება რესურსების მობილიზაციის განახლებული სტრატეგია. შეიქმნა სხვადასხვა პლატფორმები, მათ შორის უმნიშვნელოვანესია ბიომრავალფეროვნების გლობალური ჩარჩოს ფონდი და NBSAP აქსელერატორი.

2012 წლიდან დაწყებული გაეროს განვითარების პროგრამის ბიომრავალფეროვნების ფინანსირების ინიციატივას (UNDP-BIOFIN) მხარს უჭერს 41 ქვეყანა ბიომრავალფეროვნების ფინანსირების გეგმების შემუშავებასა და კონსერვაციისთვის საჭირო რესურსების მობილიზებაში. მისი ინოვაციური მიდგომა საშუალებას აძლევს ქვეყნებს შეაფასონ ბიომრავალფეროვნების მიმდინარე ხარჯები, დაადგინონ ფინანსირების საჭიროებები და მოიძიონ შესაბამისი გზები ბიომრავალფეროვნების ფინანსირების ეროვნული დეფიციტის დასაფარად. 2024 წელს, გლობალური გარემოსდაცვითი ფონდისა და UNDP-BIOFIN-ის ხელშეწყობით, ამ პროცესს კიდევ 91 ქვეყანა შეუერთდება. მნიშვნელოვანია, რომ ამ დიდ საერთაშორისო საქმიანობაში საქართველოს მთავრობაც იღებს აქტიურ მონაწილეობას.

როგორც ამას ონნო ვან დენ ჰეუფელი, გაეროს განვითარების პროგრამის ბიომრავალფეროვნების ფინანსირების პორტფელის ხელმძღვანელი აღნიშნავს: **„გლობალურად, ჩვენ 400 მილიონი აშშ დოლარის მობილიზება შევძელით. ასევე, გამოვათავისუფლეთ 1 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობის სახელმწიფო ფინანსირება, რომელიც ბიომრავალფეროვნების კონსერვაციას მოხმარდება. ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ ადგილობრივ მოსახლეობასთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან, ეროვნულ პარკებთან, კერძო სექტორსა და სახელმწიფო უწყებებთან ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების ადგილობრივი მიზნების მისაღწევად საჭირო ფინანსირების უზრუნველსაყოფად.“**

მნიშვნელოვანია, რომ საქართველო BIOFIN-ის გლობალურ პარტნიორობას 2016 წელს შეუერთდა, ხოლო ბიომრავალფეროვნების ფინანსირების ეროვნული გეგმა 2019 წელს მიიღო. მას შემდეგ, ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის წლიური ბიუჯეტი ოთხჯერ გაიზარდა, 100,000 ლარიდან 400,000 ლარამდე, ასევე გაიზარდა ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებული სხვა უწყებების ბიუჯეტები.

როგორც ამას აკადემიკოსი სოლომონ პავლიაშვილი აღნიშნავს **„ბიომრავალფეროვნების ფინანსირების ეროვნული გეგმის მიღებიდან დღემდე, საქართველოში უკვე განხორციელდა 17 ინოვაციური ფინანსური გადაწყვეტილება, რომელთა მიზანია ბიომრავალფეროვნების მდგრადი მართვისა და კონსერვაციის ხელშეწყობა“**. მისივე რწმენით **„საქართველო, რომელიც რიგი ბუნებრივი ფაქტორების გამო უნიკალური ბიომრავალფეროვნების პატრონია, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ამ დარგს. ჩვენი ქვეყანა შედის მსოფლიოს პირველი ოცდაათი ქვეყნის რიცხვში, სადაც ბიომრავალფეროვნების ფინანსირების ეროვნული პროცესი დაიწყო. მას შემდეგ, ჩვენ დამაჯერებელ პროგრესს მივაღწიეთ ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისთვის საჭირო რესურსების მოძიებისა და შესაბამისი პოლიტიკის შექმნასა და განხორციელების მიმართულებით. ბიომრავალფეროვნების კონსერვაციაზე საბიუჯეტო დანახარჯების გაზრდა არა მხოლოდ მორალური იმპერატივია, არამედ საუკეთესო ინვესტიციაა ჩვენს საერთო მომავალში“.**

**წინანდალში მაღალ დონეზე ჩატარებულმა შეხვედრამ კიდევ ერთხელ გამოავლინა ამ ღონისძიების საერთაშორისო მნიშვნელობა, განსაკუთრებით აღინიშნა საქართველოსადმი გამოთქმული დიდი ინტერესი, პატივისცემა, ქვეყანაში გატარებული ბიომრავალფეროვნების დაცვითი ღონისძიების აქტუალურობა და სწორი მიმართულება.**





აკადემიკოსი

**გიორგი კვესიტაძე**

# ხუთი ვაჟის გამზრდელი დედა და დიდი სამამულო ომი



მაია ოვაშვილი

წინამდებარე წერილის მიზანი არ გახლავთ ე.წ. „დიდ სამამულო ომში“ საქართველოს მონაწილეობის აუცილებელი ისტორიული კანონზომიერების მტკიცება ან ამ მოვლენის ფატალური გამართლების მცდელობა. მაგრამ საკითხის ისტორიულ კანონზომიერებას აწონასწორებს საქართველოს ბედკრული ისტორიული წარსული და 1921 წლის ძალადობრივი გასაბჭოება. ხოლო მეორე ის პოზიტიური ისტორიული მოვლენა გახლავთ, რომელიც მეორე მსოფლიო ომში ჩართული პროგრესული პოლიტიკის გამტარებელ ქვეყნებთან ერთად საქართველოს რომ საკაცობრიო მისიის შესრულება ხვდა წილად, „ყავისფერი ჭირის“ – ფაშიზმის განადგურებაში. აი სწორედ ესაა ამოსავალი წერტილი საქართველოს „დიდ სამამულო ომში“ მონაწილეობის აუცილებლობისა.

83 წლის წინ 22 ივნისს ომის საშინელი გრიგალი დაატყდა თავს ყოფილ საბჭოთა კავშირს და არანაკლები ძალით მასში შემავალ ტრაგედიის ეპიცენტრის მიღმა მდებარე საქართველოს. როგორც ცნობილია ე.წ. „დიდმა სამამულო ომმა“ თითქმის მიწასთან გაასწორა უკრაინისა და ბელორუსიის რესპუბლიკები და მათი ხალხის გასანადგურებლად უსასტიკესი სიკვდილის ცელი დაატრიალა. ხოლო გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო ერთი ბომბიც კი არ ჩამოვარდნილა საქართველოს მიწაზე მთელი ომის განმავლობაში, სამაგიეროდ ბრძოლის ველზე ქართველთა ზღვა სისხლიც დაიღვარა და სიკვდილის დიდი კალოც გაილეწა. ტერიტორიული და მოსახლეობის სიმცირის მიუხედავად, საქართველომ ამ ომში, ყოფილ მოძმე რესპუბლიკებს შორის ყველაზე მეტი მეომარი და ნიჭიერი მხედართმთავარი გამოიყვანა და ყველაზე მეტი – 169 საბჭოთა კავშირის გმირი ჩვენი თანამემამულე გახდა. 700 ათასი ქართველი მეომრიდან თითქმის ნახევარი ბრძოლის ველზე გმირულად დაეცა, ორასამდე მაღალი და საშუალო რანგის ქართველმა მეთაურებმა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და გადამწყვეტი როლი შეასრულეს ფაშიზმზე გამარჯვებაში.

ზემოთქმულის შესახებ დიდი ხანია, ისტორია დაიწერა და მრავალი ფილმიც შეიქმნა, მაგრამ გვსურს, მოკრძალებით საზოგადოებას შევახსენოთ და განსკუთრებით მომავალ თაობებს ვამცნოთ ე.წ. „დიდი სამამულო ომის“ ცნობილი და უცნობი ისტორიული ეპიზოდები.

**1942 წლის 22 დეკემბრის სუსხიან დილას ახალგორში, ქსნის ერისთავთა სასახლის წინ ფაშისტური გერმანიის საბჭოთა კავშირზე თავდასხმის გამო სახალხო მიტინგი გაიმართა. მაშინდელმა რაიკომის პირველმა მდივანმა ილია გალდავამ ხალხს მოკლედ აუხსნა ომის მსვლელობის ვითარება. სიტყვით გამოვიდნენ პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელებიც. შემდეგ შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა რაიკომის მესამე მდივანი, ისტორიულ იკორთაში გაზრდილი და სახელმოხვეჭილი პიროვნება მიხეილ გიგაური, რომელმაც აღმაფრთოვანებელი პათოსით ვრცლად ისაუბრა ქართველ გმირთა უწყვეტ ბრძოლაზე მოზღვავებული მტრების წინააღმდეგ. მერე იგი შეეხო კავკასიის ფრონტზე შექმნილ რთულ ვითარებას და ქსნის ხეობელ ვაჟკაცებს სამშობლოს დასაცავად მოუწოდა... უცებ ხალხში ჩურჩული გაისმა და გზა დაუთმეს ტრიბუნისკენ მიმავალ ხუთი ვაჟისა და ორი ქალიშვილის დედას, სიბრძნით და კდემამოსილებით გამორჩეულ მანდილოსანს მაია ოვაშვილს. მან ცრემლნარევი თვალები მიმოავლო შეკრებილთ და ოდნავ მთრთოლავი ხმით დაიწყო: - თქვენ ყველამ იცით, რომ დღეს ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩემი ოთხი შვილიდან ერთი უკვე დაეცა ბრძოლის ველზე. სათქმელად და სატარებლად მძიმეა დედისთვის ეს ცეცხლმოკიდებული ტვირთი, მაგრამ გულში ვიკლავ ამ გაუსაძლის ტკივილს და ვამაყობ მათი ვაჟკაცობით სამშობლოს დასაცავად რომ თავდადებით იბრძვიან. და თუ ჩვენს სამშობლოს დასჭირდა, ფინეთის ომიდან ახლახან დაბრუნებულ მეხუთე ვაჟსაც იქ გავგზავნი და მებრძოლ ძმებს გვერდში ამოვუყენებო. ამ სიტყვების წარმომთქმელი დედის გულმა ვეღარ გაუძლო მოზღვავებულ ტკივილიან ემოციას და ტრიბუნიდან ხელკავით ცრემლმორეული ჩამოიყვანეს...**

და, როდესაც ფაშისტთა ურდოები მოსკოვის შემდეგ კავკასიონსაც მოადგნენ, დედამ ხალხისადმი სტალინის ცნობილი რადიომიმართვა მოისმინა. ბელადის სიტყვები იმედიანად კი ჟღერდნენ, მაგრამ მტრის წინააღმდეგ მებრძოლი შვილების დედის გულს სხვა ჭია ჭამდა და სხვა რამ აწუხებდა. გვერდით მდგარ ვაჟიშვილს, მშობლების ერთადერთ იმედს, დედობრივი სიყვარულით წამით შეავლო თვალი და ცრემლების დასათვარად სახლიდან ეზოში ელვის სისწრაფით გავარდა. დედის მყისიერმა მზერამ შვილს ქვეყნის განსაცდელი უფრო ნათლად დაანახა და უბიძგა ძმათა საბრძოლო მწყობრში ჩამდგარიყო. იგი მალე ბრძოლის გზას გაუდგა კიდეც, მაგრამ საველე სამხედრო ნაწილის მეთაურებმა მარჩენალის გარეშე დარჩენილი მშობლების ამბავი რომ შეიტყვეს, შვილი ოჯახს დაუბრუნეს. ოღონდ იმ პირობით, რომ მას ფინეთის ომის გამოცდილება წვევამდელთა მოსამზადებლად გამოეყენებინა. ასეც მოხდა. ამ საქმეს ომის დამთავრებამდე და შემდეგაც სამხედრო უწყებას ე.წ. „ოსოახიმს“ ხელმძღვანელობდა





ომიდან შინ დაბრუნებული ძმები გაიოზ და დავით მუხაშვილები

და წვევამდელებს ამზადებდა.

საქართველოსთვის უმძიმესი შედეგებით დამთავრებული ომის მსახვრალი ხელი დამოკლეს მახვილივით აღიმართა ხუთი ვაჟკაცის გამზრდელი დედის თავზე. ხუთი შვილიდან სამი ღირსეულად დაეცა ბრძოლის ველზე. ორმა, შინ დაბრუნებულმა, თითქოს შეუმსუბუქა მშობლებს ნაღველი, მაგრამ მამის გულმა ვეღარ გაუძლო სამი ვაჟკაცის დაღუპვას, მეუღლის ყოველდღიურ გოდებას და მოკლე ხანში აღესრულა დარდსა და თვითგვემაში გათანგული მოხუცი. იმ დროს მთელი რაიონისათვის ეს უდიდესი ტრაგედია იყო და საზოგადოება მუდამ ქედს იხრიდა ტრაგიკული ოჯახისა და ომში დაღუპული გმირების წინაშე.

არანაკლები უბედურება დაატყდა თავს **მაკაროვების** ოჯახს, რომელსაც ორი ვაჟკაცი დაეღუპა. მთლიანად კი რაიონში ძნელად მოიძებნება ოჯახი, რომელსაც არ სწვევია ომის საზარელი სუსხი ან ე.წ. „შავი პოხორონკა“. სწორედ ამიტომ, ტრადიციისამებრ ახალგორში, ყოველი ლხინისა და გლოვის სუფრასთან დიდ სამამულო ომში დაღუპულ გმირთა შორის გამორჩეულად, ორი ოჯახიდან შინმოუსვლელი ძმების სამარადისო სადიდებელ სადღეგრძელოს წარმოსთქვამდნენ და 1942 წლის მიტინგზე წამებული დედის, მაგრამ შვილიშვილებისთვის დამაშვრალი, ტკბილი მაია ბაბოს გულისამაჩუყებელ სიტყვებს იხსენებდნენ...

დღეს კი, სამწუხაროდ, ეს ტრადიცია ცნობილ მიზეზთა გამო მოგონებადღა დარჩა ხალხისაგან დაცლილ ახალგორში. მაგრამ მთელ საქართველოში რომ დავიწყებას ეძლევა ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ საქართველოს 700 ათასი მეომრის თავგანწირული ბრძოლა და ნახევარზე მეტი დაღუპული გმირების ნათელი ხსოვნა, ეს სამწუხარო კი არა, ფრიად სავალალოა. მავანნი და მავანნი აღნიშნულ ომში ქართველთა გმირულ ბრძოლას და თავდადებას სხვის ომში მონაწილეობას და სხვისთვის ბრძოლას უწოდებენ. განა ჩვენს მამულს ფაშიზმი არ ემუქრებოდა? ნუთუ ფაშიზმის დამხობაში ჩვენი გმირების თავგანწირვა და მათი დაღვრილი სისხლი ამაოდ ჩასათვლელია მხოლოდ იმ მიზეზის გამო, რომ რუსეთი საქართველოს ისტორიული მტერია?! ნუთუ წარსულში ჩვენი დაუძინებელი მტრების, ირანისა და თურქეთის მხარეს ჩვენი ბრძოლაც ამაოა? ან კიდევ ირანის შაჰები რომ აიძულებდნენ ქართველ მეფეებს თეიმურაზს, არჩილს, ვახტანგს და სხვებს ავღანეთის, ერაყის, არაბეთის და სხვა ქვეყნების წინააღმდეგ თავიანთი ლაშქრებით ირანის არმიის ავანგარდში მდგარიყვნენ და მტერს პირველნი კვეთებოდნენ - ესეც დავიწყებას უნდა მიეცეს? უფრო ადრე კი საქართველო-რუსეთის მეგობრული ურთიერთობის პირველ მცდელობას თუ გავიხსენებთ, თამარ მეფისთვის გიორგი ბოგოლუბსკის ქმრად მოყვანის შესახებ, სახარბიელოს ვერაფერს აღმოვაჩენთ, გიორგი რუსის მხრიდან ვერაგობისა და ღალატის გარდა, ლოთობაზე რომ არაფერი ვთქვათ. მე-17 საუკუნეში არჩილ მეფის შვილი და პეტრე დიდის უახლოესი მეგობარი, რუსეთის არტილერიის სარდალი **ალექსანდრე ბაგრატიონი** 1699 წელს შვედებთან ბრძოლაში გამცემთა წყალობით ტყვედ ჩავარდა. შვედეთის მეფე კარლოს მეთორმეტემ ალექსანდრეს გათავისუფლებისათვის პეტრე პირველს რუსეთის ხაზინის ტოლფასი თორმეტი კასრი ოქრო მოსთხოვა. მეფე შვედებს დიდხანს არ პასუხობდა და ისევ ალექსანდრემ ქართული გენისათვის დამახასიათებელი კეთილშობილური ჟესტით, დიდი მსხვერპლის სანაცვლოდ, თავის დახსნაზე უარი განაცხადა. იგი რუსეთის იმპერიის ერთგულებისთვის წამებაში გარდაიცვალა, კუნძულ პიტეოზე 1711 წელს.

**1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის დადებისთანავე რუსეთმა საქართველო თურქეთთან ყირიმის ომში ჩააბა. რუსეთის საიმპერატორო კარზე გარყვნილებისა და ორგიების მოტრფიალე დედოფალი ეკატერინე ტრაქტატის ხელისმომწერ მარშალ პოტიომკინს თავრიზში სწერდა: სუვოროვის ნაქები ქართველი მეომრები წინ გაუშვი, შენ კი რუს ჯარისკაცებს გაუფრთხილდიო. ეს თავნება იმპერატორი ტრაქტატში აღნიშნული სამხედრო დახმარების მიუხედავად, ხშირად ატყუებდა ერეკლე მეფეს და მოზღვავებულ მტრებთან ბრძოლაში მარტო ტოვებდა. ხოლო ტრაქტატის ხელისმომწერი გარსევან ჭავჭავაძე გადაუდებელი საკითხების გადასაწყვეტად დილიდან საღამომდე და კვირაობითაც კი მოსაცდელში იცდიდა, როცა ეკატერინე მოსასვენებელ აპარტამენტებში ფავორიტებთან ნებივრობდა. 1815 წელს ბოროდინოს ბრძოლაში პეტრე ბაგრატიონის გარდა თორმეტი ქართველი გენერალი მონაწილეობდა. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ორასწლიან ისტორიაში ბევრი მსგავსი მაგალითია, მაგრამ მეტაფორის თანახმად – არ შეიძლება ბავშვის ნაბან წყალს ბავშვიც გადავაყოლოთ და ჩვენი ისტორია დავაკნინოთ, საქართველოს გმირული და იმავდროულად ტრაგიკული ეპოპეა ისტორიიდან ამოვშალოთ. წარსულშიც და „დიდი სამამულო ომის“ დროსაც პოლიტიკური ვითარება მოითხოვდა საქართველოს რუსეთის ან სსრ კავშირის მხარეზე ებრძოლა, სხვაგვარად შეუძლებელი იყო.**

**მაგრამ რუსეთის დამპყრობითმა პოლიტიკამ საქართველოს მიმართ ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა. 2008 წლის 8 აგვისტოს მათი ჯარები ჩვენი ქვეყნის გულში შემოიჭრნენ და რომ არა საერთაშორისო საზოგადოების, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატების კატეგორიული წინააღმდეგობა, მთელი საქართველო დღეს ანექსირებული იქნებოდა.**

სწორედ ამ დროს მოსკოვში ყოფნისას საინფორმაციო საშუალებები და საზოგადოების გარკვეული ნაწილი საქართველოს შეიარაღებული ძალებისა და მისი მეომრების მიმართ არაადეკვატურ და ცინიკურ განცხადებებს აკეთებ-



მიხეილ გიგაური და ლუსია მუხაშვილი ქალიშვილთან ერთად

დნენ და ლერმონტოვის ცნობილი, ასევე არაადეკვატური ლექსის ერთ ფრაზას, „**Бежали робкие грузины**“ ერთხელ კიდევ ნიშნის მოგებით ადასტურებდნენ. სწორედ ამ ცრუ შეფასებებისა და შეხედულებების გასაქარწყლებლად, სახელგანთქმული ქართველი გმირებისა და მხედართმთავრების საბრძოლო გზების მოსაძიებლად, ე.წ. სამამულო ომის ცენტრალურ მუზეუმს მივმართე. გენერალური დირექტორის მოადგილემ, გენერალ-მაიორმა მიხაილ კოჟემიაკომ ვიზიტის მიზანი რომ შეიტყო, საქართველოსა და მისი გმირი ხალხის მიმართ განსაკუთრებული გულწრფელობით განიმსჭვალა და ჭეშმარიტი მხედრული პატივისცემა გამოხატა. მან დიდი დახმარება გამიწია მისი დაქვემდებარების უწყების სანახებში შესაღწევად და იმ საგმირო ისტორიული მასალების ხელშესახებად, რომელთა შემოქმედნი ჩვენი ღირსეული მამულიშვილები გახლდნენ. სიამაყისა და აღფრთოვანების გრძნობა მავსებდა საქვეყნოდ სახელგანთქმული ქართველი მხედართმთავრებისა და რიგითი მებრძოლების ფოტო და კინოდოკუმენტების ხილვისას. შემდეგ რუსეთის ფედერაციის ქ. პოდოლსკის სახელმწიფო სამხედრო არქივში უამრავ დოკუმენტურ მასალასთან ერთად, განსაკუთრებით დაჩაგრული ქსნის ხეობელთათვის, დღემდე უცნობი მასალაც აღმოჩნდა, რომელიც სამხრეთ ოსეთის გრიფითაა მონიშნული:

**...„1943 წელს, სტალინგრადის ბრძოლაში კომკავშირელი არტილერისტის და მამაცი ჯარისკაცის გიორგი ფიცხელაურის შესახებ გაზეთი „პრავდა“ წერდა: „როცა გერმანელების ექვსმა ტანკმა ქუჩა გადაკეტა, ქვემეხთან მხოლოდ მარტო დარჩენილი, თავში დაჭრილი და სმენადახშული ფიცხელაური იწვა. იგი მტრის ტანკების გრუხუნმა გამოაფხიზლა. ძალა მოიკრიბა, წამოდგა და ქვემეხი მომართა. პირველივე გასროლით სათავო ტანკი ააფეთქა, დანარჩენებმა სამიზნედ მდგარ ქვემეხს ერთდროულად გაუხსნეს ცეცხლი. ფიცხელაური მეორედ დაიჭრა თავში, ჭრილობის შეხვევის დროც არ იყო, ტანკები კი მოიწევდნენ წინ. მან ხელახლა გაისროლა და კიდევ ერთი ტანკი გაცივდა პოზიციაზე. შემდეგ უფრო ახლოს მოუშვა მტერი, ორი გასროლა განახორციელა და კიდევ ორი ტანკი ააფეთქა“. მაგრამ დიდი ვაჟას „არწივის“ მსგავსად, უკვე გმირად შერაცხილ დაჭრილ გიორგის ფაშისტები ყვავ-ყორნებივით გარს შემოერტყნენ და მზაკვრულად ჩაცხრილეს. თუ ამ ეპიზოდის გმირის წარმოშობას გავყვებით, იგი ახალგორის რაიონის სოფ. იკორთიდანაა.**

იქვე აღმოჩნდა ჩვენთვის და საქვეყნოდ ცნობილი, ახალგორის მკვიდრის, საბჭოთა კავშირის გმირის **გრიგოლ საგანოვის** შესახებ ცნობა: **„მდ. დნეპრის გადალახვისას გამოჩენილი შეუპოვრობისა და მამაცობისთვის 236-ე მსროლელთა დივიზიის, 496-ე სადაზვერვო სპეცასეულის სერჟანტ-მზვერავს გრიგოლ საგანოვს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.“**

– „მოსკოვის თავდაცვით ბრძოლებში საოცარი თავდადება და სიმამაცე გამოამჟღავნა 50-ე არმიის არტილერიის მეთაურმა, გენერალ-პოლკოვნიკმა **კონსტანტინე ლესელიძემ.** დედაქალაქის მისადგომებთან მისმა არტილერისტებმა გაანადგურეს გერმანელების 100 ტანკი. კავკასიის დაცვაში კი გადამწყვეტი როლი შეასრულა 46-ე არმიამ, რომელსაც იმ დროისთვის გენერალი ლესელიძე მეთაურობდა. ქლუხორის, მარუხის, სანჩარისა და სხვა გადასასვლელებზე სწორედ მისმა არმიამ მოუჭრა გზა მტერს და კავკასიონის ქედთან იგი სასტიკად დაამარცხა. შედეგად, ჰიტლერელთა გენერალური გეგმა ბაქოს ნავთობის ხელში ჩასაგდებად სამუდამოდ ჩაიშალა.

-„ქართველმა მეომრებმა რუსეთის მეორე დედაქალაქის - სანკტ-პეტერბურგის დაცვაშიც ისახელეს თავი და ფაშისტებს გამანადგურებელი დარტყმები მიაყენეს. ლენინგრადის დაცვის გმირული ეპოპეის ერთ-ერთი ორგანიზატორი გახლდათ სამხედრო საქმის პროფესიონალი საბჭოთა მხედართმთავარი გენერალ-ლეიტენანტი **ვასილ მჟავანაძე** (გასული საუკუნის 60-იან წლებში საქართველოს ც.კ.-ს პირველი მდივანი). ქალაქის მისადგომებთან შეუპოვრად იბრძოდნენ სამხედრო ნაწილები და შენაერთები, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ გენერალ-მაიორები **ლ. გოლიაძე, გ. ჯინჭარაძე, ვ. ხუგულური, დ. შანშიაშვილი, ვიცე-ადმირალი გ. გაგაშვილი, კონტრადმირალები ვ. ლეჟავა და ს. რამიშვილი, პოლკოვნიკები კ. არშბა, გ. ბარბაქაძე, ი. ბიჭიკაშვილი, ლ. ბერიძე, გ. გრძელიშვილი, შ. ქარქუსაშვილი, შ. მელქაძე** და მრავალი სხვა.

ამგვარად, რუსეთის არქივმუზეუმებში მოძიებულ ზღვა მასალას ერთი საგაზეთო წერილი კი არა, ათეული ტომი არ ეყოფა. მაგრამ მოსკოვის საინფორმაციო საშუალებებისა და საზოგადოების გარკვეული ცინიკური ნაწილისათვის პასუხის გასაცემად 2011 წლის 17-21 ივნისის გაზეთ „პრავდის“ „დიდი სამამულო ომისადმი მიძღვნილ“ ნომერში ზემოჩამოთვლილ მასალებზე დაყრდნობით წერილი გამოვაქვეყნე.

**დაბოლოს, P.S. წერილის იმ ეპიზოდში, სადაც შინ დაბრუნებულ ორ ძმაზეა საუბარი (ორივე გარდაცვლილია), მათ შორის ერთი ომის დროს წვევამდელთა მწვრთნელი, თქვენი მონა-მორჩილის მამა დავით მუხაშვილი გახლავთ. მეორე ძმა გაიოზი, კი კადრის ოფიცერი ბალტიისპირეთის ფრონტზე იბრძოდა და 1954 წლამდე ქუთაისში მდგარ სამხედრო გარნიზონში მსახურობდა. ხოლო წერილის დასაწყისში რაიკომის მდივანი, ნახსენები აწგანსვენებული მიხეილ ბიგაური მიტინგზე გამოსული დედის ქალიშვილის მეუღლე გახლდათ, რომელიც მარქსიზმის ღრმა ცოდნასთან ერთად დიდად განსწავლული, ისტორიასა და ლიტერატურაზე ბრწყინვალე ქართულით საუბრობდა. რისთვისაც გიორგი ლეონიძემ ახალგორში ყოფნისას ლექსი მიუძღვნა. ადრე დაობლებულს დედობრივი მზრუნველობა გაუწია გასული საუკუნის დასაწყისში თბილისის ინტელიგენციის ერთ-ერთმა განათლებულმა ქალბატონმა ნინა ფიცხელაურმა. იგი პირადად იცნობდა ვაჟა-ფშაველას და მისი, ილიას, აკაკის თითქმის ყველა ლექსი და ნაწარმოები ზედმიწევნით კარგად იცოდა. სწორედ ეს წარჩინებული მანდილოსანი მამიდად ერგებოდა წერილში ხსენებულ ტანკების გამანადგურებელ მეზარბაზნე გმირ გიორგი ფიცხელაურს.**

**დიმიტრი მუხაშვილი**

# „ლაშარელას ალბომის პრეზენტაცია ჩარგალში




**ფშავში ფოლკლორული ანსამბლის შექმნის ისტორია 1940-იანი წლებიდან იწყება. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ფშავის ცენტრში, მაღაროსკარის კულტურის სახლში, ქალ-ვაჟთა შემადგენლობით ოცკაციანი გუნდი შეიკრიბა. გუნდს ნინო ქისტაური და ალექსი ხუცურაული ხელმძღვანელობდნენ. როგორც ირკვევა, მოგვიანებით სწორედ ეს გუნდი ჩაუწერია ივეტ გრიმოს 1967 წელს.**

სწორედ ამ გუნდში მღეროდა ანსამბლის დღევანდელი ხელმძღვანელის ნინო ნაყეურის პაპა ლუკა ნაყეური.

ძველი გუნდის შთამომავლები ვალიკო წოწკოლაურმა შეკრიბა და 1983 წელს დააარსა ავთენტიკური ფოლკლორული ჯგუფი „ლაშარი“. მრავალი ფესტივალისა და ოლიმპიადის მონაწილეს, „ლაშარს“ არაერთხელ უგემნია წარმატების სიხარული.

თაობათა ცვლის მტკივნეული პროცესი შემდგომ წლებშიც გაგრძელდა და ძველი შემადგენლობიდან ანსამბლში მხოლოდ სამი წევრიღა დარჩა გაჩნდა უძველესი ტრადიციების გაქრობის რეალური საფრთხე.

2023 წელს ანსამბლ „ლაშარის“ ბაზაზე ფშავში ჩამოყალიბდა ფშავის ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ანსამბლი „ლაშარელა“.

მისი წევრები ძირითადად ფშავის ძველი ანსამბლისა და „ლაშარის“ წევრთა შთამომავლები არიან. უხუცესი წევრი 87 წლის ხვთისო სესიაშვილია, რომელიც ზევით ნახსენებ ივეტ გრიმოს ექსპედიციის დროს, სრულიად ახალგაზრდა, მაშინდელი გუნდის შემადგენლობაში მღეროდა; უმრწემესი კი 15 წლისაა.

„ლაშარელა“ ფშაური სიმღერის მემატიანეა. დღეისათვის ის ერთადერთია, რომელმაც შეინარჩუნა ფშაური მღერის ტრადიცია, შესრულების წესი და მანერა.

საჩქარო იყო უხუცესების, უკანასკნელი კორიფეების ხმების დაფიქსირება-გადარჩენა, ამ მიზნით მოხდა ფშაური სიმღერების აუდიო და ვიდეოჩანაწერების პირველი ალბომის მომზადება და გამოცემა. ვფიქრობთ, ალბომი ისტორიული ღირებულებისაა, იგი ხელს შეუწყობს ფშაურად მღერის ცოცხალი ტრადიციის აღდგენა-გაცოცხლებასა და ყოფაში დაბრუნებას.

პროექტის მხარდამჭერია საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო, ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი, დუშეთის მუნიციპალიტეტი და ფონდი ქართული გალობა.

ალბომის პრეზენტაციაზე დასწრების მსურველებს უფასო ტრანსპორტი მოემსახურება რესპუბლიკის მოედნიდან.

# ევროპის უძველესი რესტორანი, სადაც ჰემინგუეის ყოფნა უყვარდა და გოია მრეცხავად მუშაობდა...




**ევროპაში მრავალი რესტორანია საუკუნოვანი ისტორიით, მაგრამ მათგან უძველესად ითვლება Sobrino de Botín, რომელიც ესპანეთის დედაქალაქის შუაგულში მდებარეობს.** ამ მიზეზის გამო, ის გინესის რეკორდების წიგნშიც კია შეტანილი. რესტორნის ისტორია XVIII საუკუნეში დაიწყო, როდესაც ბოტინების ოჯახი, ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად, შორეული პროვინციიდან მადრიდში ჩავიდა. ორი წლის იქ გატარების შემდეგ ცოლ-ქმარმა მაინც ვერ შეძლო კარგი სამსახურის შოვნა. მაშინ ჟან ბოტინმა, რომელიც პროფესიით მზარეული იყო, საკუთარი რესტორნის გახსნა გადაწყვიტა.

ცოლ-ქმარმა იქირავა შენობა, რომელიც ადრე პატარა სასტუმროდ გამოიყენებოდა და პირველი სართულის გადაკეთების შემდეგ, 1725 წელს პატარა ტავერნა გახსნა. **Tavernas Casa Botín** დაარქვეს. სწორედ მაშინ გაჩნდა შენობაში დიდი ზომის ქვის ღუმელი, რომელიც დღემდე მუშაობს. ამბობენ, რომ რაღაც დროის განმავლობაში აქ ჭურჭლის მრეცხავად მუშაობდა მხატვარი ფრანცისკო ხოსე დე გოია. XX საუკუნეში რესტორნის მფლობელი გონსალესების ოჯახი გახდა. 1725 წელს გახსნის შემდეგ ეს დაწესებულება არ დაკეტილა – ომის დროსაც კი იქ ჯარისკაცებს კვებავდნენ.

მადრიდში ყოფნა და **Sobrino de Botín**-ში დროის გატარება ერნესტ ჰემინგუეისაც უყვარდა.

ჰემინგუეის უყვარდა **Botín**-ის რესტორანი, ხშირად სტუმრობდა მას და თავის შემოქმედებაში უკვდავყო კიდეც.

„ჩვენ ვისადილეთ რესტორან „ბოტინში“, მეორე სართულზე. ეს ერთ-ერთი საუკეთესო რესტორანია მსოფლიოში. ჩვენ შემწვარ გოჭს ვჭამდით და „რიოხა ალტას“ ვსვამდით“.

ერნესტი თავის საყვარელ მაგიდასთან იჯდა და რაღაცას წერდა ხოლმე. ერთხელ გადაწყვიტა, თავისი კულინარიული ნიჭი გამოევლინა და რესტორნის მფლობელს სთხოვა, მისთვის პაელას მომზადების უფლება მიეცა. თუმცა, სამზარეულოში რამდენიმე საათის გატარების შემდეგ მან თქვა: „სჯობს, განვაგრძო საკუთარი თავის ლიტერატურისადმი მიძღვნა“.

დღეს **Sobrino de Botín** შენობის ოთხივე სართულს იკავებს და მადრიდის ყველაზე სახელგანთქმულ რესტორნად ითვლება. რეკონსტრუქციისას მფლობელები შეეცადნენ, შეძლებისდაგვარად შეენარჩუნებინათ როგორც გარეგნული იერი, ისე ატმოსფერო, რომელიც მასში სუფევდა. რესტორნის შეფ-მზარეულის თქმით, ერთ-ერთი ღუმელი სამი საუკუნის მანძილზე უცვლელად შემორჩა და მასში ცეცხლი არასდროს ქრება.



ჰემინგუეის ძალიან უყვარდა Botín-ის რესტორანი და ხშირად სტუმრობდა მას

## გვარების წინამძღოლთა დარბაზი

# გვარის ერთსულოვნება ქვეყნის წინსვლის საწინდარია

**საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზის გამგეობის უპირველესი საზრუნავია ის, რომ ქართულმა გვარებმა საფუძვლიანად შეისწავლონ საკუთარი გვარის ისტორია და თუ ვერ ახერხებენ ამას, დახმარება სთხოვონ დარბაზში მოღვაწე მეცნიერთა ჯგუფს, რომლებიც ოპერატიულად გადაუწყვეტენ პრობლემას.**

სწორედ გვარის ისტორიის მასალების მოსაძიებლად მიმართეს კობერიძეების გვარის ხელმძღვანელებმა ბატონ ლევან ბერაიას დახმარებისთვის და უმოკლეს დროში მიიღეს გვარის ისტორიული კვლევა, რისთვისაც კობერიძეების გვარის ხელმძღვანელობამ გულწრფელი მადლობა გადაუხადა მეცნიერს.

კობერიძეების გვარი რიცხობრივად არც-თუ ისე მრავალრიცხოვანია, სულ 3 ათასამდეა, მაგრამ აქტიურობით ნამდვილად გამორჩეულია და გვარის ისტორიასაც საფუძვლიანად სწავლობენ.



კობერიძეთა გვარის დალოცვა სამების საკათედრო ტაძარში

როგორც მოკვლეული მასალებიდან ირკვევა, კობერიძეების გვარი ერთ-ერთი უძველესი გვარია, რომელიც განსახლებულია როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. გვარის გაერთიანებისთვის საკმაოდ შრომატევადი სამუშაოებიც გაუწევიათ და შედეგიც თვალსაჩინოა.

გვარის გაერთიანებისთვის ზრუნვა 2022 წელს დაუწყიათ. გვარის დალოცვამდე დაუკავშირდნენ კობერიძეთა გვარის სასულიერო პირებს, ონის წმინდა გაბრიელის მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარს, მამა გიორგის და კახეთში გურგენიანის წმინდა ბარბარეს სახელობის ეკლესიის წინამძღვარს მამა ბესარიონს, მათი დახმარებით იზრუნეს საგვარეულო ხატის შექმნაზე. შექმნეს ,,ფსალმუნების წამკითხველთა ჯგუფი", რომელიც დღემდე იკითხება კობერიძეების ოჯახებში.

კობერიძეებს ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხმორში აქვთ საგვარეულო ტაძარი – ,,ფიტარეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია", რომელსაც ჯერ კიდევ კომუნისტებმა მოუნგრიეს გუმბათი და სამეურნეო მნიშვნელობის საწყობად გადააქციეს. კობერიძეების საამაყო შვილმა, პოლიტიკოსმა და მეცენატმა, ცხმორელმა გელა კობერიძემ, 1999-2000 წლებში რაჭის მიტროპოლიტის კურთხევით თავიდან ააშენა საგვარეულო ტაძარი, ხატი წმინდა გიორგის სახელზე დაიწერა.

როგორც ირკვევა, XV-XVI საუკუნეებში მიქაელ კობერიძე ხატმწერი ყოფილა, მისი ნაღვაწი დაცულია ბუგეულის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაში. ამ ფაქტის შესახებ წერდა გიორგი ბოჭორიძე თავის წიგნში (,,რაჭა-ლეჩხუმის ძეგლები და სიძველეები"). სწორედ მიქაელ კობერიძის მიერ შექმნილი წმინდა გიორგის ფრესკის ასლი არის კობერიძეების საგვარეულო ხატი. ხატი კარედის ფორმისაა და მასზე გამოსახულია წმინდა გიორგი, მიქაელ მთავარანგელოზი და გაბრიელ მთავარანგელოზი.

ხატი აკურთხებინეს 13 აგვისტოს გორის საკათედრო ტაძრის მღვდელს მამა საბა კარალიძეს, ხატი მოიილოცეს გორში, თბილისში, რუსთავში, სოფლებში–ცხმორში, კნოლევში და სხვაგან მცხოვრებმა კობერიძეების ოჯახებმა.

ხატი ფიტარეთის კობერიძეების საგვარეულო წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაშია დავანებული.

2023 წლის 15 იანვარს სამების ტაძარში დაილოცა კობერიძეების გვარი და 15 იანვარი დაწესდა კობერიძეთა გვარის შეკრების დღედ.

### მაინც, რას მოგვითხრობს გვარის ისტორია?

**კობერიძეთა** გვარის ისტორია ძალიან გავს სხვა ქართული გვარების ისტორიას.

ცხმორის ტაძრის განახლების აღმშენებელმა გელა კობერიძემ პროფესორ გიორგი მისერელს შეუკვეთა კობერიძეების ისტორიის შესწავლა, რომელიც ამტკიცებს, რომ დღემდეა შემონახული გადმოცემა გვარის სამხრეთ საქართველოდან წარმოშობის შესახებ.

კობერი და ამუჯი ქართული სოფლები ყოფილან ლორეში, რომელიც ამჟამად გასომხებულია –გვამცნობს ერთ-ერთი დოკუმენტი.

კობერში ჯერ კიდევ 1292 წელს მოხსენიებულია კობერის ტაძარი, რომელიც გიორგი ბერს შეუკეთებია. შესაძლებელია კობერიდან გადმოსახლებულან და რაჭაში, ცხმორში დასახლებულან კობერიძენი. კობერიძეები იზიარებენ ამ ვერსიას. სწორედ ბერი გიორგი იყო ცხმორში გადმოსახლების შემდეგ ტაძრის შემკეთებელი. ცხმორშივე არის თქმულება, იმის შესახებ, რომ ორი ძმა - ხიზანა და ფერისა, რომლებიც ჯავახეთში ცხოვრობდნენ, გადასულან რაჭაში, ცხმორში. სწორედ 1292 წელს მოხსენიებული კობერიძის ტაძარი უნდა იყოს კობერიძეთა დღევანდელი ფიტარეთის წმინდა გიორგის ეკლესია.

ბატონ ლევან ბერაიას მიერ მოწოდებული ცნობით, კობერიძეების გვარი გავრცელებულია როგორც აღმოსავლეთ ისე დასავლეთ საქართველოში. მისი მოსაზრებით, კობერიძეთა გვარი კოლხური წარმოშობისაა და ფუძედ აქვს ბერი ანუ შვილი, კობას შვილი და კობას ძე.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ,,კობერი" დაფშვნილ სიმინდს, ხოლო მეორე განმარტებით–კაკლის წენგოს ნიშნავს.

ავტორი პირველ ვერსიას ემხრობა. რაჭველები, კერძოდ, კობერიძეები ოდითგანვე პურის ცხობით და მზარეულობით გამოირჩეოდნენ. ამიტომ შესაძლოა სიმინდთან იყოს დაკავშირებული გვარის წარმოშობა.

კობერიძეების საგვარეულო სიგელის თანახმად, ქართულ წერილობით წყაროებში კობერიძეები XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან, 1676 წელს მოიხსენებიან მიწის ნასყიდობის წიგნში, რომლის მოწმეც და გამრიგეც დათუნა კობერიძეა.

მომხვდურთა თავდასხმებისა და შეჭირვების გამო კობერიძეთა გვარის ნაწილი შიდა ქართლში დასახლებულა.

1792 წლის 25 ივლისს ქართლის არქივებში მოხსენიებულია გიორგი, დათუნა, ზაქარია, თაზუნა და ივანიკა კობერიძეები.

ბატონ ლევან ბერაიას მოწოდებული დოკუმენტით ირკვევა, რომ 1894 წელს ერთ-ერთი კობერიძე, რომელიც სასამართლო უწყებაში მუშაობდა ჩინოვნიკად, მის მიერ პეტერბურგის არქივში მოძიებულ იქნა ცნობა, რომ კობერიძეებს დავა ჰქონია სახელმწიფოსთან მიწების თაობაზე.

კობერიძეები ისტორიულად მებრძოლი გვარია. ღმერთის, საქართველოს და ბაგრატიონთა ტახტის ძლიერებისათვის კობერიძეები კომლზე კაცი გამოდიოდა იმერეთის სამეფოს ლაშქარში, რაჭის ერისთავთა თავად აბაშიძეთა, წერეთელთა და წულუკიძეთა დროშის ქვეშ. ქართლის სამეფო ლაშქარში მემარჯვენე და შუამდგომ ალმის მპყრობელ სადროშოებში თავად ამილახვართა და ციციშვილთა დროშის ქვეშ მამაცურად იბრძოდნენ.

* * *

**კობერიძეების** გვარს ყოველ დროში ყავდა პროფესიონალი სამხედროები. პირველი და მეორე მსოფლიო ომებში კობერიძეებმა საკმაოდ გამოიჩინეს თავი. მათ შორისაა საბჭოთა კავშირის გმირი, გენერალ-მაიორი ერმალოზ კობერიძე, მისი სახელი თბილისში ერთ-ერთ ქუჩას მიანიჭეს, ონში კიძეგლი დაუდგეს. თავი ისახელეს იაკობ, სოკრატე, გენადი, ვასილ, ვარლამ, ძმებმა – ვალიკო, გედევან, ფილიპე, არჩილ, გიორგი, პარმენ, ალექსანდრე კობერიძეებმა, რომლებიც იბრძოდნენ სამამულო ომში, აფხაზეთსა და სამაჩაბლოში.

გვარში არც სასულიერო პირთა სიმცირეა. ჯერ კიდევ 1937 წელს მღვდელი მელიტონ კობერიძე კომუნისტებმა იმისთვის დახვრიტეს, რომ ანაფორა არ გაიხადა. რამდენიმე სასულიერო პირი პირნათლად იხდის ვალს დედაეკლესიის, უფლისა და მრევლის წინაშე.



გვარის წინამძღოლი ელენე კობერიძე

გვარში არაერთი გამორჩეული პიროვნებაა, რომლებიც ღირსეულად ემსახურებიან სამშობლოს. მათ შორის არიან პოლიტიკოსი და მეცენატი **გელა კობერიძე**, რომელსაც ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე.

შესანიშნავი მსახიობი იყო **ოთარ კობერიძე**; მსახიობი, პოეტი, არქიტექტორი და სამხატვრო აკადემიის ლექტორია **ზაზა კობერიძე**. იტალიის ქალაქ მილანში მოღვაწეობს საოპერო მომღერალი **სოფო** და იმავე ქალაქში მოღვაწე მოდელი **ლიზი კობერიძეები**. ამერიკაში მოღვაწე მხატვრები **ლიზი და ნელი კობერიძეები**; ბიზნესმენი – **გიორგი კობერიძე**; სამხედრო კომისარი და სამხედრო ექიმი **გიორგი კობერიძე**; მწერლები **კარლო და ნოდარ კობერიძეები**, ჟურნალისტი და პოლიტოლოგები – **ლევან და ნუგზარ კობერიძეები**, ჟურნალისტი – **მზია კობერიძე**, საბჭოთა კავშირის ხუთგზის ჩემპიონი და 1947 წელს ევროპის პირველი ჩემპიონი სსრ კავშირიდან ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში **კონსტანტინე კობერიძე** და სხვები.

კობერიძეთა სასახელოდ უნდა ითქვას, ისიც რომ მათ ახასიათებთ მოგვარეთა გვერდში დგომა, ერთსულოვნება, ურთიერთპატივისცემა და სიყვარული. მათ ძალიან კარგად იციან საქართველოს პატრიარქის ილია მეორის მოწოდება, - მხოლოდ გვარის ერთსულოვნებას შეუძლია ერის მშვიდობიანი განვითარება და ქვეყნის წინსვლაში ღირსეული წვლილის შეტანა.

**ვალერიან ლომიძე,**
**გვარების წინამძღოლთა დარბაზის გამგეობის წევრი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.**




კობერიძეთა წინაპრები, 1974 წლის 23 ნოემბერი

# რუხის რესპუბლიკურ საავადმყოფოს სერგო ფიფია უხელმძღვანელებს



**ჯანდაცვის მინისტრმა ზუგდიდში რუხის რესპუბლიკური საავადმყოფო დაათვალიერა. მიხეილ სარჯველაძე სამედიცინო დაწესებულებაში არსებულ მდგომარეობას გაეცნო, შეხვედრა გამართა კლინიკის თანამშრომლებთან და მათთან ერთად საავადმყოფოს განვითარების გეგმებზე იმსჯელა.**

მიხეილ სარჯველაძემ თანამშრომლებს კლინიკის ახალი დირექტორი წარუდგინა. რუხის რესპუბლიკურ საავადმყოფოს სერგო ფიფია უხელმძღვანელებს, რომელიც მანამდე კლინიკაში სამეანო გინეკოლოგიური დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა.

ჯანდაცვის მინისტრმა რუხის რესპუბლიკურ საავადმყოფოს, როგორც საოკუპაციო ხაზთან მდებარე სამედიცინო ობიექტის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება. მიხეილ სარჯველაძემ აღნიშნა, რომ სახელმწიფოს პრიორიტეტი, რეგიონებში, სამედიცინო სერვისების გაძლიერება და განვითარებაა, რათა ყველა მოქალაქეს, ჰქონდეს მაღალი ხარისხის, თანამედროვე, სამედიცინო სერვისებზე თანაბარი ხელმისაწვდომობა.

ჯანდაცვის მინისტრთან ერთად, რუხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში, სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული გიორგი გუგუჩია და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერი მამუკა წოწერია იმყოფებოდნენ.

# „შამქორი 2024" ვაზიანის პოლიგონზე საჩვენებელი სწავლებით დასრულდა



**ვაზიანის პოლიგონზე სამეთაურო-საშტაბო სწავლება – „შამქორი 2024" საბრძოლო სროლებით დასრულდა.** მე-4 ქვეითი ბრიგადის სამხედრო მოსამსახურეებმა საველე სიტუაციური სწავლება საბრძოლო სროლებით მე-5 საარტილერიო ბრიგადის, საბრძოლო საინჟინრო ბატალიონის, ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლობის ქვედანაყოფების მხარდაჭერით ჩაატარეს. საველე სწავლება მიზნად ისახავდა ქვედანაყოფების სინქრონიზებულ მოქმედებას, მოსალოდნელ საფრთხეზე მყისიერ რეაგირებასა და ამოცანების შესრულებას.

საჩვენებელ სწავლებას თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილე – გენერალური შტაბის უფროსი, ბრიგადის გენერალი ჯონი ტატუნაშვილი, აღმოსავლეთის სარდალი, ბრიგადის გენერალი როლანდ ძნელაძე და თავდაცვის ძალების სხვა წარმომადგენლები დაესწრნენ.

„შამქორი 2024"-ის სამეთაურო-საშტაბო კომპონენტი კომპიუტერული სისტემების გამოყენებით კრწანისში, ნატო-საქართველოს წვრთნებისა და შეფასების (JTEC) ერთობლივი ცენტრის სიმულაციების, კავშირგაბმულობის და ინფორმაციული სისტემების ცენტრში მიმდინარეობდა. მასში თავდაცვის ძალების გარდა, შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების პირადი შემადგენლობაც იყო ჩართული.

# ხელვაჩაურსა და ქედაში გაზიფიცირების პროცესი მიმდინარეობს

**გაზგამანაწილებელი ინფრასტრუქტურა შენდება ისეთ დასახლებებში, სადაც აქამდე ბუნებრივი აირით მოსახლეობა ვერ სარგებლობდა.**




გაზიფიცირების სამთავრობო პროგრამის ფარგლებში, აჭარაში სამუშაოები ასევე მიმდინარეობს ხულოსა და შუახევშიც.

„ამ დრომდე, აჭარის მაღალმთიან სოფლებში, მოსახლეობას არ ქონდა ბუნებრივი აირით სარგებლობის შესაძლებლობა. შესაბამისად, ამ პროექტის დასრულების შემდეგ, მათ ექნებათ შესაძლებლობა, ბუნებრივი აირით ისარგებლონ. რა თქმა უნდა, ბუნებრივი აირით აღნიშნული სივრცის მოწესრიგება, პირდაპირ დაკავშირებულია ტურისტული ინფრასტრუქტურის გაზრდასთან, რომელითაც ისედაც მდიდარია მაღალმთიანი აჭარა. ეს უკანასკნელი კი, პირდაპირ უკავშირდება ადგილობრივების ეკონომიკურ წინსვლას",-აცხადებს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ენერგეტიკული პოლიტიკისა და საინვესტიციო პროექტების დეპარტამენტის უფროსი ჯუბო ტურაშვილი.

მომდევნო წლებში აჭარის რეგიონში დაგეგმილია დამატებით 31 დასახლებული პუნქტის გაზიფიცირებისთვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების განხორციელება, პროცესს ხელვაჩაურის სოფელ ქვედა ჩხუტუნეთში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები გაეცნენ.

# მსოფლიოში თხილის წარმოებით და ექსპორტით საქართველო მე-6 ადგილზეა

**მსოფლიოში თხილის წარმოება მზარდია. უმსხვილესი მწარმოებელი ქვეყანა კი თურქეთია. მისი წილი მსოფლიო თხილის წარმოების 71%-ია! ამის შესახებ Galt & Taggart-ის მიერ გამოქვეყნებულ მიმოხილვაშია აღნიშნული, რომელიც საქართველოში კაკლოვანი კულტურების ბაზარზე არსებულ ტენდენციებს ასახავს.**

მიმოხილვის ავტორები აღნიშნავენ, რომ საქართველო მსოფლიო თხილის წარმოების 2.5%-იანი წილით მე-6 ადგილზეა და ამასთან თხილი ქვეყნისთვის საექსპორტო პროდუქტია.

2016-22 წლებში მსოფლიოში თხილის წარმოება CAGR 6.6%-ით გაიზარდა და 2022 წელს 585 მლნ კგ-ს მიაღწია. ეს ზრდა ძირითადად განპირობებულია თურქეთში, აშშ-სა და სხვა ქვეყნებში წარმოების ზრდით. მიმოხილვის ავტორები აღნიშნავენ, რომ თხილის უდიდესი მომხმარებლები ძირითადად ევროპის ქვეყნები—გერმანია, იტალია და საფრანგეთი არიან, რომლებიც ჯამურად 42.9%-ს მოიხმარენ. „ეს უკავშირდება ევროპაში შოკოლადის წარმოებას, სადაც თხილი ერთ-ერთი უმთავრესი ინგრედიენტია", - განმარტებულია მიმოხილვაში.

2021 წლის მონაცემებით, თხილის მოხმარება მსოფლიოში 1 სულ მოსახლეზე სტაბილურია და საშუალოდ ყოველწლიურად 0.08 კილოგრამია. ამასთან, ქვეყნების მიხედვით ეს მაჩვენებელი არარელევანტურია, რადგან ბევრ ქვეყანაში მოხმარების მაღალი დონე შოკოლადის წარმოებაში თხილის გამოყენებას უკავშირდება.

უნდა აღინიშნოს, რომ 2017-21 წლებში თხილის ექსპორტი მსოფლიოში მზარდი იყო, თუმცა 2022 წელს საგრძნობლად, წლიურად 25.1%-ით $1.8 მლრდ-მდე შემცირდა.




# გამამტყუნებელი განაჩენი გადაისინჯება

**პროკურატურამ ტურისტული ბაზა „უშბა"-ს საქმეზე, ყოფილი მსჯავრდადებულების მიმართ არსებული გამამტყუნებელი განაჩენის გადასინჯვის გადაწყვეტილება მიიღო.**

საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის მიერ ჩატარებული ხელახალი, სრულყოფილი და ობიექტური გამოძიების შედეგად, პროკურატურამ გამოძალვისთვის მსჯავრდებულ მზევინარ ჯაფარიძისა და ჯ.ჯ.-ს მიმართ გამოტანილი განაჩენის გადასინჯვის შუამდგომლობით, სააპელაციო სასამართლოსთვის მიმართვის გადაწყვეტილება მიიღო.

„მზევინარ ჯაფარიძე 2010 წლის 7 ივლისს სხვა პირებთან ერთად, ჯგუფურად, დაზარალებულის მიმართ ძალადობის გამოყენების მუქარით ჩადენილი გამოძალვის ფაქტზე დააკავეს, მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 181-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა" და „გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის წარედგინა. მოგვიანებით ამავე მუხლით დაუსწრებლად მიეცა პასუხისგებაში ბრალდებულის სახით ჯ. ჯ. და მის მიმართ გამოცხადდა ძებნა.

იმჟამინდელი ბრალდების თანახმად, კანადის მოქალაქე უ. ს.-მ მესტიის რაიონის დაბა მესტიაში შეიძინა ტურისტული ბაზა „უშბა" და მის სახელზე არსებული ქონების მართვაში, თავის მინდობილ პირად - დ.ქ. დანიშნა.

მესტიაში ყოფნისას დ.ქ.-მ გაარკვია, რომ დაბა მესტიის ზოგიერთ მკვიდრს გარკვეული პრეტენზია გააჩნდა ზემოხსენებულ უძრავ ქონებასთან დაკავშირეით. სიტუაციაში გარკვევის მიზნით, დ.ქ. სასტუმრო „მესტიაში" შეხვდა ნელი ნავერიანს, შ. ჯ. - ს, დ. ჯ. -ს, ტ. ჯ.-ს და მათ ნათესავებს. შეხვედრისას დ.ქ.-მ აღნიშნულ პირებს განუმარტა, რომ ტურისტული ბაზა „უშბა" მისმა პარტნიორმა შეიძინა კანონის შესაბამისად, თვითონ კი იყო მესაკუთრის წარმომადგენელი და აპირებდა ბაზის ამუშავებას. მსჯავრდების საქმის თანახმად, ნელი ნავერიანმა და შეხვედრაზე მყოფმა სხვა პირებმა დ.ქ.-ს განუცხადეს, რომ მათ არ გააჩნდათ დასახელებული უძრავი ქონების საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, თუმცა მიწის ნაკვეთი, რომელზეც განთავსებული იყო ზემოხსენებული ტურისტული ბაზა წარსულში ეკუთვნოდა მათ და მათ წინაპრებს. მსჯავრდების საქმის მიხედვით, ტურისტული ბაზის მართვის განხორციელებისა და ბაზაზე სამუშაოების შეუფერხებლად ჩასატარებლად მოცემულმა პირებმა ძალადობის მუქარით დ.ქ.-ს მოსთხოვეს, მათთვის 220 000 ლარი გადაეხადა.

2010 წლის 7 ივლისს დ.ქ. სასტუმრო „მესტიაში" შეხვდა შ. ჯ. - ს, დ. ჯ. -ს და ტ. ჯ.-ს და მათ მიერ მოთხოვნილი თანხის ნაწილი 70 000 ლარი გადასცა. თანხის გადაცემის დროს სამართალდამცავებმა აღნიშნული პირები დააკავეს, ხოლო მზევინარ ჯაფარიძე დაკავებული იქნა საკუთარ სახლში. ამავე საქმეზე ჯ.ჯ.-ს მოგვიანებით დაუსწრებლად წარედგინა ბრალდება და გამოცხადდა ძებნა.

სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის მიერ ჩატარებული ახალი გამოძიების ფარგლებში მოპოვებული მტკიცებულებებით, მათ შორის მოწმეთა ჩვენებებით დადგინდა, რომ ნელი ნავერიანი დ.ქ.-სთან შეხვედრებისას მუდმივად აფიქსირებდა საკუთარ პოზიციას, ზემოხსენებულ უძრავ ქონებასთან მიმართებით წარმოშობილი დავის, სამართლებრივი ფორმით დარეგულირებასთან დაკავშირებით და ითხოვდა საქმეში ადვოკატების ჩართვას. გარდა აღნიშნულისა, გამოძებით დადგინდა, რომ ნელი ნავერიანს, მზევინარ ჯაფარიძეს და ჯ.ჯ.-ს არათუ არ მოუთხოვიათ მათთვის რაიმე თანხის გადაცემა, არამედ არც დასწრებიან შეხვედრებს, რომელზეც დ.ქ.-ს მიერ სხვა მსჯავრდებული პირებისთვის თანხის გადაცემა განხორციელდა. ხელახალი გამოძიების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე სრულად გამოირიცხა მზევინარ ჯაფარიძისა და ჯ. ჯ.-ს მხრიდან რაიმე სახის დანაშაულის ჩადენის ფაქტი.

2023 წლის 30 მარტს, პროკურატურამ ნელი ნავერიანის მიმართ განაჩენის გადასინჯვის შუამდგომლობით სასამართლოს მიმართა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 20 ნოემბრის განაჩენით ნელი ნავერიანი უდანაშაულოდ იქნა ცნობილი.

აღნიშნული საქმის გამოძიების ფარგლებში მოპოვებული ახალი მტკიცებულებების საფუძველზე პროკურატურამ, ამავე საქმეზე მსჯავრდებულების, მზევინარ ჯაფარიძისა და ჯ. ჯ.-ს მიმართ გამოიტანა დადგენილება მათი უფლებების არსებითად დარღვევის შესახებ და სააპელაციო სასამართლოს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შუამდგომლობით მიმართავს.

დეპარტამენტის შექმნიდან დღემდე დაზარალებულად იქნა ცნობილი 485 პირი, რომელთაგან 333 პირს პროკურატურის შემაჯამებელი გადაწყვეტილების შედეგად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ დაუბრუნდა ან/და დაბრუნების პროცესშია დაახლოებით 67 000 000 ლარის ღირებულების უძრავი და მოძრავი ქონება. გარდა ამისა, დეპარტამენტის მიერ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შუამდგომლობით, სასამართლოს 124 მსჯავრდებულის საქმეზე მიემართა. დღეის მდგომარეობით, სასამართლოს გადაწყვეტილებით 121 პირის მიმართ უკვე დამდგარია გამამართლებელი განაჩენი, მათგან 30 პირს საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის დადგენილებით მინიჭებული აქვს პოლიტპატიმრის სტატუსი." - ნათქვამია პროკურატურის გავრცელებულ ინფორმაციაში.

# თხევადი გაზის ავზში გადამალული მარიხუანა აღმოაჩინეს!!!



**საბაჟო გამშვებ პუნქტში ,,სადახლო საავტომობილო", ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, სომხეთის რესპუბლიკის მხრიდან შემოსული, უცხო ქვეყნის მოქალაქის მართვის ქვეშ არსებული ავტომობილის დეტალური დათვალიერების შედეგად, 13 კილოგრამი ნარკოტიკული საშუალება მარიხუანა აღმოაჩინეს.**

სამართალდამრღვევ მოქალაქეს განსაკუთრებით დიდი ოდენობით მარიხუანა საქართველოს საზღვარზე, მალულად (ავტომობილის საბარგულში თხევადი გაზის ავზში, წინასწარ მოწყობილ სამალავში) შემოჰქონდა. აღნიშნული აკრძალული ნარკოტიკული საშუალება დაპრესილ მდგომარეობაში, 11 პოლიეთილენის შეფუთვაში იყო მოთავსებული.

საქმის მასალები შემდგომი რეაგირების მიზნით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ერთეულს გადაეცა.

გვინდა, აღვნიშნოთ, რომ საბაჟო ზედამხედველობის ფარგლებში, აკრძალული ნარკოტიკული ნივთიერებების შემოტანა მკაცრ კონტროლს ექვემდებარება.

თავაწეულნი

# საქართველომ ყველას გულები მოიგო



**ასეთ შეფასებას მხოლოდ რჩეულნი იმსახურებენ, მეტადრე – ფრიად ავტორიტეტული საერთაშორისო საინფორმაციო საშუალების მხრიდან, თანაც ჩვენ შემთხვევაში – პირველი ევროპის ჩემპიონატის სადებიუტო მატჩის შემდეგ, რომელიც თურქეთთან 1:3 წავაგეთ, მაგრამ, – მხოლოდ ტაბლოზე.**

სხვათა შორის, მეტოქე უკვე მერვედ თამაშობს უმაღლესი რანგის ფორუმზე (მათგან ორი მუნდიალია) და პირველად მოიგო პირველი მატჩი 7 მარცხის კვალად. დაგვეთანხმებით, მრავლისმთქმელი სტატისტიკაა, ასე რომ, მეტისმეტად მკაცრად ნუ განვსჯით ვილი სანიოლის გაწვრთნილ ჯვაროსნებს – ისინი უკვე გამარჯვებულნი არიან, რადგან, პოლიტიკოსთაგან განსხვავებით, ერი სულ რამდენიმე თვეში გააერთიანეს. ამ ფონზე საინტერესოა, როგორ ჩახედავს ქართული ფეხბურთის მამებსა და ბიჭებს თვალებში გულნამცეცა, პრეზიდენტად წოდებული უსამშობლო არსება, სამარცხვინო სეკვესტრი რომ განახორციელა 26 მარტის გმირობის ავტორთა სიის წევრთა მიმართ, მათი სოლიდური ნაწილის ღირსების დამსახურებული ორდენით დაჯილდოების ბრძანებულებას ხელი არ მოაწერა და დორტმუნდის სიგნალ იდუნა პარკის სტადიონის ვიპ-ლოჟაში უცოდველი კრავივით გამოიყურებოდა?

შეიძლება ვაჭარბებდეთ, მაგრამ წერილის დასაწყისში ნახსენებმა შეფასებამ დაუვიწყარი 1981 წლის მარტში ინგლისურ პრესაში დაბეჭდილი საამაყო სტრიქონები გაგვიცოცხლა, შექსპირისა და ფეხბურთის სამშობლოში რუსთაველის თეატრისა და თბილისის დინამოს მიერ დადგმულ უკვდავ სპექტაკლებს რომ მოჰყვა: ქართველებმა გვასწავლეს შექსპირისა და ფეხბურთის თამაში. დაგვეთანხმებით, მსგავსი მარგალიტები ციდან არცვივა.

ემოციების მცირეოდენი დაცხრომის შემდეგ შეძლებისდაგვარად მოზომილი სათქმელი აუცილებლად უნდა ითქვას, რაც არაფრის დიდებით არ ნიშნავს მადლიერების გამოხატვაზე უარის თქმას – პირიქით, ამით, ვიმედოვნებთ, თავს დავიზღვევთ მომავალი ინფარქტებისგან, მაშ ასე:

უპირველესად – მწვრთნელი. დიახ, რადგან ყველა გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებელი გუნდის თავკაცია, ძვირფასს მუსიე სანიოლსაც უნდა შევკადროთ კეთილისმსურველის და არა ჩასაფრებულის პოზიციიდან, რომ, სავარაუდოდ, შეცდომები დაუშვა როგროც 26-წევრიანი განაცხადის შევსების, ისე უშუალოდ თურქეთთან სადებიუტო ისტორიული შეხვედრისთვის სასტარტო შემადგენლობის შერჩევის, აგრეთვე კრიტიკულ ვითარებაში ცვლილებების განხორციელებისას, რაც გამოიხატა თუნდაც ბრძოლის ველიდან უაღრესად პროდუქტიული ჩაკვეტაძის გაყვანაში ან ზივზივაძის დაგვიანებულ შეყვანაში, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჩვენებურთა ფრანგი დამრიგებელი, მიუხედავად შთამბეჭდავი საფეხბურთო კარიერისა, დამწყები მწვრთნელია, გამოუცდელობა კი, მისი შეგირდებისა არ იყოს, შეცდომების დაშვებასაც განაპირობებს.

ალბათ, ამითაც უნდა აიხსნას დვალის, წიტაიშვილისა თუ ალთუნაშვილის მიერ თურქთათვის ნაჩუქარი გოლებიც, შეტევაში კი წვიმიან ამინდთან ერთად იღბალმაც გვაქცია ზურგი. რას ვიზამთ – ესეც მისი უდიდებულესობა ფეხბურთის შემადგენელი ნაწილია, ამიტომ მომავალს საკუთარი ღირსების შეცნობით შევხედოთ და იმედი შევინარჩუნოთ – ჯერ ხომ დაკარგული არაფერია. მით უმეტეს, ხვალ ჩეხებთან ჰამბურგში არის ვარიანტი, რომ ოთარ კიტეიშვილი დაგვიბრუნდება, ვის არყოფნაშიც მრისხანე ჩალხანოღლუ-გიულერ-ილდიზის ტრიო პერიოდულად უპრობლემოდ ხლართავდა სახიფათო ქსელებს მინდვრის ცენტრში და დანავარდობდა ჩვენი საჯარიმოს სიახლოვეს.

დაბოლოს – ჩეხები: პორტუგალიასთან ბოლო წუთებზე მარცხით (1:2) მათ მძიმე ფსიქოლოგიური დარტყმა იგემეს. ჰოდა, თუ ჩვენ ფეხბურთს ვითამაშებთ, პირველ მოგებასაც გამოვჭედავთ.

რაც შეეხება სხვა ჯგუფებს, გერმანია პირველია უნგრეთის ძლევის შემდეგ (2:0), პლეი-ოფში ვადამდე რომ გავიდა , შვეიცარია კი შოტლანდიასთან ზავის (1:1) შემდეგ თითქმის ასევე ცალი ფეხით მერვედფინალშია.

სამაგიეროდ, ალბანეთთან დაკარგულმა ქულებმა (2:2) ხორვატეთი დააყენა სამშობლოში ნაადრევად დაბრუნების საფრთხის წინაშე.

აქვე ევროტურნირებსაც შევაწიოთ ორიოდე სიტყვა, რომელიც გერმანული ფორუმის გამო საფეხბურთო რადარებიდან დროებით გაქრა. გაუწყებთ წილისყრის შედეგებს:

**ჩემპიონთა ლიგა.**

I საკვალიფიკაციო ეტაპი.ლუდოგორეცი (ბულგარეთი)-ბათუმი.9-10 და 16-17 ივლისი.

**კონფერენს ლიგა**

I საკვალიფიკაციო ეტაპი. ტორპედო (ქუთაისი|)-ტირანა (ალბანეთი), მორნარი (მონტენეგრო)-დინამო (თბილისი). 11 და 18 ივლისი.

ამავე ტურნირში თბილისის იბერია 1999 მეორე ეტაპიდან ჩაებმება (25 ივლისი და 1 აგვისტო), სადაც მალტურ მარსაშლოკსა და ალბანურ პარტიზანს შორის გამარჯვებულს შეხვდება.

ხუთი რგოლი

# გიორგი სარდალაშვილი: მინდა, ისტორიაში ჩემი სახელი ჩავწერო



**საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები პარიზის ოლიმპიადისთვის ზაგრებში ემზადება. მათ შორის არის ახალგაზრდა გიორგი სარდალაშვილი, რომელიც ევროპის ძიუდოს კავშირს ესაუბრა:**

**„როდესაც 2012 წლის ლონდონის ოლიმპიურ თამაშებს ვუყურებდი, ლაშა შავდათუაშვილის მიერ მოპოვებულმა ოქროს მედალმა ძალიან დიდი მოტივაცია მომცა და ჩემგან ძიუდოს შეყვარების ერთ-ერთი მიზეზი ეს იყო.**

**მე და ლაშა ბექაურს ბევრი საერთო გვაქვს. ორივე ერთი კუთხიდან ვართ, ასევე ორივეს ერთი პირადი მწვრთნელი გვყავს და ერთ კლუბში ვვარჯიშობთ. ოლიმპიური ჩემპიონობის შემდეგ ის ხშირად მეხმარება და ბევრ რამეს მასწავლის, როგორც ძიუდოში, ისე სხვა საკითხებში.**

**მსოფლიო ჩემპიონობის აღსანიშნავად ცოტა დრო მქონდა. როდესაც ხალხის ღიმილიან სახეს ვხედავდი, ძალიან ბედნიერი ვიყავი. ისტორიაში მსოფლიო ჩემპიონის სტატუსით ჩავეწერები, თუმცა ასევე მინდა ჩემი სახელი ოლიმპიური ჩემპიონობითაც დავტოვო. საქართველოში ერთ წელს მსოფლიოს და ოლიმპიური ჩემპიონი არავინ გამხდარა და მინდა, ისტორიაში ჩემი სახელი ამით ჩავწერო“**

შეგახსენებთ, რომ გიორგი სარდალაშვილმა ცოტა ხნის წინათ აბუ დაბიში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ოქროს მედალი მოიპოვა და 20 წლის ასაკში ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

ბრძოლის წინ

# უკვე–ყველანი

**მარათონული საკლუბო სეზონის შემდეგ საქართველოს ეროვნული საკალათბურთო ნაკრები, როგორც იქნა, იტალიის ქალაქ ტრევიზოში სრული შემადგენლობით შეიკრიბა. პარტნიორებს უკანასკნელნი გუნდის კაპიტანი თორნიკე შენგელია და ნატურალიზებული უკანახაზელი ჯო ტომასონი შეუერთდნენ. შეგახსენებთ, რომ ვირტუს ბოლონიას ლიდერი ზედიზედ მესამედ დაეუფლა სერია-ა-ს ვერცხლის მედალს, ხოლო თელ-ავივის მაკაბის გამთამაშებელი ისრაელის ჩემპიონი გახდა.**

ამასობაში ჯვაროსანთა სერბმა თავკაცმა **ალექსანდრ ჯიკიჩმა** კიდევ ერთი გაცხრილვა განახორციელა და 18-დან სავარჯიშოდ 15 შეგირდი დაიტოვა: სამშობლოში ვადამდე მოუწიათ დაბრუნება ტურძილაძეს, ბაქრაძესა და გაფრინდაშვილს, დანარჩენი 3 ზედმეტის ვინაობას კი მოგვიანებით გამოაცხადებს.



შეგახსენებთ, რომ ხვალ ჩვენები მორიგ სპარინგს ქალაქ ტრენტოში მასპინძლებთან გამართავენ, შემდეგ იქვე კამერუნთან და ეგვიპტესთან მოაწყობენ გენერალურ რეპეტიციას და სწორედ იქიდან ჩავლენ რიგაში პარიზის ოლიმპიადის საკვალიფიკაციო რაუნდში სათამაშოდ.

ამ დღეებში გაირკვა, რომ თუ ჩვენ შერმადინი დაგვაკლდება, მეტოქეს ნბა-ს ახალი ჩემპიონი ორზინგისი ასევე ტრავმის გამო არ ეყოლება, რომელიც მრისხანე ძალაა.

**მოკლედ, ბრძოლა იწყება!**

თაობა

# ვერცხლის დუბლი



**საბერძნეთში მიმდინარე ჭაბუკ ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატზე 67 კგ. წონით კატეგორიაში რევაზ მილდიანმა და ლერი ნეფარიძემ იასპარეზეს და ვერცხლის მედლები მოიპოვეს.**

რევაზ მილდიანმა ატაცში სამივე ცდას წარმატებით გაართვა თავი, 115 / 119 / 121 კგ. დაძლია და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

აკვრაში მან 142 / 146 კგ. დაძლია და ასევე ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა, ორჭიდში მოგროვილი 267 კილოგრამით კი ვერცხლის მედალი დაისაკუთრა.

რაც შეეხება ლერი ნეფარიძეს, ის ატაცში 109 კილოგრამის ძლევით მე-7 ადგილზე გავიდა.

ახალგაზრდა ძალოსანმა მდგომარეობა აკვრაში გამოასწორა, სადაც 143 / 147 / 150 კგ დაძლია და ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა, ხოლო ორჭიდში მოგროვებული 259 კილოგრამით მას მე-6 ადგილი ერგო.

საქართველოს ნაკრების ყულაბაში უკვე 8 მედალია - 3 ოქრო, 2 ვერცხლი და 3 ბრინჯაო.

ზურაბ ანთაურის მიერ მომზადებული მსოფლიოს ნომერ პირველი გუნდი კონტინენტის პირველობაზე 20-კაციანი შემადგენლობითაა წარმოდგენილი.

ოვალური ბურთი

# პატივი დაგვდეს

**EPCR-მა ოფიციალური განცხადება გამოაქვეყნა, სადაც ცნობილი გახდა, რომ პირველი ქართული ფრენჩაიზი „შავი ლომი“ ჩელენჯ თასზე კიდევ 2 წლის განმავლობაში ითამაშებს.**

ქართულ ფრენჩაიზთან ერთად, ტურნირში მონაწილეობის უფლება კიდევ 2 წლით სამხრეთ აფრიკულმა „**ტიოიტა ჩიტაჰსმაც**“ მიიღო.

„ეს ძალიან მნიშვნელოვანი მომენტია ქართული რაგბისა და მთლიანად ქვეყნისთვის. ჩვენ ამისთვის წლების განმავლობაში ბევრი ვიშრომეთ, როგორც მოედანზე, ასევე მის მიღმა. მადლიერები ვართ EPCR-ის და მისი ხელმძღვანელობის“ - განაცხადა საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა **იოსებ ტყემალაძემ**.

შეგახსენებთ, რომ „შავი ლომი“ ჩელენჯ თასის გათამაშებაში პირველად გასულ წელს ჩაერთო და პირველივე წელს გამარჯვების მოპოვებაც მოახერხა. ქართულმა ფრენჩაიზმა უელსში „სქარლეთსი“ 23:7 დაამარცხა.



# რევაზ თევზაძის არდავიწყება

## კიდევ ერთი წელი უთქვენოდ!



კიდევ ერთი წელი გავიდა **რევაზ თევზაძის** გარდაცვალებიდან, ხვალ, 22 ივნისს მას 93 წელი შეუსრულდებოდა, მაგრამ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ, არც ერთი დღე არ გვიცხოვრია მისი ხსოვნის დიდების გარეშე. დიახ, დაუვიწყარია ბატონი რეზოს დიდი კაცობა, გულისხმიერება, გვერდზე დგომა და მზრუნველობა ყველა გარშემო მყოფების მიმართ.

ქართველი საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი მისი პროფესიული და სახელმწიფოებრივი საქმიანობის შესახებ, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში.

ბატონო რეზო, თქვენი მეგობრები, პროფ. გივი მინდელის საზოგადოების წევრები, ქართველ მენავთობეებთან ერთად, ხვალაც შევიკრიბებით თქვენს საფლავთან, პატივს მივაგებთ თქვენს ხსოვნას და ასე იქნება მანამ, ვიდრე ამის ფიზიკური შესაძლებლობა ექნება თითოეულ ჩვენგანს.

წლები მიდის, ცხოვრება თავისი წესით გრძელდება და ამ წლებს მოაქვს, როგორც მწუხარება და დარდი, ასევე სიხარული და მომავლის რწმენა.

ამ წელს განსაკუთრებული ღირსებით გამორჩეული პიროვნებები გამოაკლდნენ ჩვენს საზოგადოებას, თქვენი, გივი მინდელის, თითოეული ჩვენგანის მეგობრები და თბილისის კოლორიტული პიროვნებები–ივიკო საყვარელიძე, გია რამიშვილი და გაიოზ გალდავაძე.

დიდება მათ ხსოვნას, ღმერთმა ნათელში ამყოფოს მათი სულები!

განვმეორდებით და ვიტყვით, რომ ცხოვრება გრძელდება და მან, ასევე ბევრი ბედნიერება, გამარჯვება და გამრავლება მოუტანა ჩვენს ოჯახებს. თქვენ ზუსტად ამ წელიწადს გახდით დიდი ბაბუა და ამით საფუძველი ჩაეყარა თევზაძეების დიდი და გამორჩეული ოჯახის ახალ თაობას.

დასანანია, რომ ამ დღეს ვერ მოესწარით თქვენ და დიდი ბებია, ქალბატონი სნევი.

ბედნიერება, სიკეთე და წარმატება არ მოკლებოდეს თქვენს ოჯახს, მომავალს, ჩვენო დაუვიწყარო მეგობარო, ბატონო რეზო.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი სული.

**პროფესორ გივი მინდელის საზოგადოება.**

სულთათანა

# ფარიკაობის ლეგენდა გურამ კოსტავა გარდაიცვალა



18 ივნისს ლეგენდარულ ქართველ მოფარიკავეს **გურამ კოსტავას** გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებიდან 87 წლის იუბილე მივულოცეთ მეგობრებმა.

19 ივნისს კი, ეს გამორჩეული ქართველი სპორტსმენი, ყველასთვის საყვარელი ადამიანი სამწუხაროდ სამუდამოდ დაგვემშვიდობა ყველას და ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან მარადიულ სასუფეველში...

ღმერთმა ნათელში ამყოფოს...

**ვეტერანი მოფარიკავეები და მეგობრები:**
**ი. ოსიპოვი, გ. ცაგარელი, ა. გოგელია, ზ. ცქიტიშვილი, გ. სალარაძე, ვ. ბენიაშვილი, ზ. მჭედლიძე, დ. სახვაძე, გ. ანდრიაძე, ზ. კუპრაშვილი, ა. ოლლიშვილი, უ. ვარდიაშვილი, ზ. ბოკუჩავა.**

# მდინარე ლიახვში მოზარდის ცხედარი იპოვეს

**მდინარე ლიახვში მაშველებმა მოზარდის ცხედარი იპოვეს. ინფორმაცია AMBEBI.GE-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში დაუდასტურეს. თუმცა მოზარდის ვინაობა ჯერჯერობით უცნობია.**



გუშინ წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ 14 წლის მოზარდი ცხინვალში მდინარე ლიახვმა გაიტაცა, მას ნიქოზის კაშხლის სიახლოვეს ეძებდნენ. დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის წარმომადგენელმა ეგორ კოჩიევმა, ცხელი ხაზის გამოყენებით, დახმარებისთვის ქართულ მხარეს მიმართა.

ტრაგედიის დეტალები ზუსტდება.

# განცხადება

## საჯარო განხილვის შესახებ

**სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა - შპს „რუსელოისის“ მიერ თერჯოლის მუნიციპალიტეტში სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი (მანგანუმის მადნის გამდიდრება) საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტი**

**გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.**

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: **2024 წლის 5 ივლისი, 13:00 საათი, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის შენობა (მის.: რუსთაველის ქუჩა N109).**

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ, გაუგზავნოთ **სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის 10 ივლისის ჩათვლით მისამართზე:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელ-ფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

**განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 12 ივნისი.** განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 26-ე და არაუგვიანეს 30-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს დასკვნას.

# განცხადება

## საჯარო განხილვის შესახებ

**სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა - შპს „ჩალიკ ჯორჯია ვინდის“ 110 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანისა და ექსპლუატაციის პროექტი**

**გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.**

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: **2024 წლის 8 ივლისი, 11:00 საათი, გორის მუნიციპალიტეტის სოფ. ხიდისთავის ადმინისტრაციული ერთეულის შენობა, 2024 წლის 8 ივლისი, 14:00 საათი, გორის მუნიციპალიტეტის მერიის შენობა (მის.: გრიგოლ ფერაძის N5).**

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ, გაუგზავნოთ **სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის 11 ივლისის ჩათვლით მისამართზე:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელ-ფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

**განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 13 ივნისი.** განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 26-ე და არაუგვიანეს 30-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს დასკვნას.

## ვულოცავთ!



ამ დღეებში საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს

### სოლომონ პავლიაშვილს

საპატიო გარეჯელის წოდება მიენიჭა.

გაზეთი **„საქართველოს რესპუბლიკა“** თავის ერთგულ ავტორსა და თანამდგომს, ქართული სოფლის დიდ ქომაგს, ბატონ სოლომონ პავლიაშვილს გულწრფელად ულოცავს სახალხო აღიარებას – საპატიო გარეჯელობას.

## უნივერსიტეტის ბაღში იუსტინე აბულაძის ბიუსტი განთავსდება



**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაღში, ფილოლოგ, ირანული ფილოლოგის კათედრის დამფუძნებელის იუსტინე აბულაძის არქიტექტურულ - მხატვრული კომპოზიციის (ბიუსტის) განთავსებისთვის თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 42 100 ლარია გათვალისწინებული - ირაკლი კობახიძის მიერ ხელმოწერილი შესაბამისი განკარგულება საქართველოს მთავრობამ 14 ივნისს გამოსცა.**

დოკუმენტის მიხედვით თსუ-ის ბაღში იუსტინე აბულაძის ბიუსტის განთავსებასთან დაკავშირებული მომსახურებისთვის, საქართველოს მთავრობა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას უფლებას აძლევს, გამარტივებული შესყიდვა თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დამტკიცებული ბიუჯეტის პროგრამით გათვალისწინებული ასიგნებებიდან გამოაცხადოს.

## 105 წლის ამერიკელმა მაგისტრის წოდება მიიღო

**105 წლის ამერიკელმა ვირჯინია ჰისლოპმა განათლების სფეროში მაგისტრის წოდება მიიღო.**

ვირჯინიამ სტენფორდის უნივერსიტეტში სწავლა 1936 წელს დაიწყო. მან წარმატებით დაამთავრა ბაკალავრიატი და მაგისტრატურაში ჩააბარა. მაგრამ მას შემდეგ, რაც მისი საქმრო მეორე მსოფლიო ომში გაიწვიეს, ქალმა უნივერსიტეტში სიარული შეწყვიტა.



ვირჯინია განმარტავს, რომ სამაგისტრო ნაშრომი უკვე დასრულებული ჰქონდა და მხოლოდ მისი ფინალური ვერსია უნდა წარედგინა. მაგრამ ქალი გათხოვდა და თაფლობის თვის გატარება ოკლაჰომაში გადაწყვიტა, სადაც მისი მეუღლე ჯორჯი მსახურობდა.

ომის შემდეგ ვირჯინია ქმართან და ორ შვილთან ერთად ვაშინგტონის შტატში დასახლდა და სპეციალობით მუშაობდა.

ცოტა ხნის წინ ვირჯინიას სიძე სტენფორდის უნივერსიტეტს დაუკავშირდა, სადაც მას აუხსნეს, რომ ქალს მაგისტრის წოდების მისაღებად დიპლომის დაცვა არ სჭირდება. ამიტომ, ვირჯინია შესაბამის ცერემონიას დაესწრო და კუთვნილი წოდება 83-წლიანი დაგვიანებით მიიღო.

## „შავი ოქრო“ გამარჯვებულია



**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარ დარბაზში „ქართული ლიგის” ფინალი გაიმართა.**

ფინალში 6 იუმორისტული გუნდი მონაწილეობდა:

აბაშა – „სულგუგუნი”, ჭიათურა – „შავი ოქრო ”, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი – „შერეკილი”, ბათუმი – „3200”, ბაღდათი – „შანსი”, ხარაგაული – „ჭირიმე” .

სამივე ტურის შედეგად, ჟიურის ქულათა უმაღლესი შეფასებით , „შავი ოქრო“ „ქართული ლიგის“ 2024 წლის ჩემპიონი გახდა.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად დიდი კონკურენციისა, მონაწილე გუნდების მომზადების დონისა და ხარისხისა, ჭიათურელთა გუნდი ქართული ლიგის 2024 წლის ასპარეზობის აღმოჩენად აღიარეს.

# სულთმოფენობა

**23 ივნისს საქართველოს წმინდა მართმადიდებელი სამოციქული ეკლესია სულთმოფენობას დღესასწაულობს.**



...უფლის აღდგომიდან ორმოცდამეათე დღეს მოციქულებზე სულიწმიდის მადლი ცეცხლოვანი ენების სახით გადმოვიდა, რადგან ცეცხლს წვის, თბობის და ნათების თვისება აქვს, ასე მოციქულებმაც, წმინდა სულით აღვსილებმა, თავიანთი ნათელით გაანათეს ქვეყნიერებაზე არსებული წყვდიადი ურწმუნოებისა, უგუნურებისა, უღმრთობისა.

სულთმოფენობის დღესასწაული ქრისტეს ეკლესიის დაბადების დღეა! ქრისტიანობა სულიწმინდის მადლის მოპოვებით განისაზღვრება.

როგორც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე ბრძანებს თავის ქადაგებაში **„ოქრომ რომ ბრწყინვა დაიწყოს, ათასგვარი მინარევისგან უნდა გასუფთავდეს ცეცხლში გამოწრთობით, ადამიანის სული რომ ცოდვისგან განიწმინდოს ცხოვრებისეულ ქურაში უნდა გამოიწვას ღვთაებრივი ცეცხლის ზემოქმედებით“...**

სულთმოფენობის ბრწყინვალე დღესასწაულზე ეკლესიები იმოსება მშვენიერი ყვავილებით.

**გიული ლიპარტია**

## დედამიწაზე 59 მილიონერი ცხოვრობს



**მსოფლიოს მასშტაბით იმაზე გაცილებით მეტი მილიონერი ცხოვრობს, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. Kiplinger-ის კვლევითი დეპარტამენტის დათვლებით, ამჟამად მსოფლიოში 59 მილიონი ისეთი ადამიანი ცხოვრობს, რომლის ქონების შეფასება მილიონ დოლარს აჭარბებს.**

ეს სია მოიცავს იმ ადამიანებსაც, რომლებიც, მაგალითად, მილიონად შეფასებულ უძრავ ქონებას ფლობენ ან თანხას დეპოზიტზე ინახავენ.

მონაცემებზე დაკვირვებიდან ჩანს, რომ ქონების უდიდეს ნაწილს უმდიდრესი მოქალაქეები საფონდო ბირჟაზე აბანდებენ, რაც ლოგიკურიც არის, რადგან, გრძელვადიან პერსპექტივაში, ქონების დაგროვების საუკეთესო საშუალება სწორედ ინვესტირებაა.

ანალიტიკოსების პროგნოზით, 2027 წლამდე მილიონერების რაოდენობა 86 მილიონამდე გაიზრდება, რაც საფონდო ბირჟის აღმასვლით და უძრავი ქონების გაძვირებით იქნება განპირობებული.

## წმინდა მექაში ტრაგედია გრძელდება



**საუდის არაბეთში, საკულტო ქალაქ მექაში ჰაჯის შესრულების დროს 1000 ადამიანი სიცხისგან გარდაიცვალა!**

მექაში ჰაერის ტემპერატურამ დღესასწაულის დროს 52 გრადუსს მიაღწია, რაც მომლოცველთა ნაწილის დაღუპვის მიზეზი გახდა. საუდის არაბეთის ჯანდაცვის სამსახურების თქმით, სულ სიცხისგან 2000-მდე ადამიანი დაშავდა.

დაღუპულთა შორის არიან საუდის არაბეთის, ეგვიპტის, იორდანიის, ირანის, ინდონეზიისა და სენეგალის მოქალაქეები.

ჰაჯი ტრადიციული მოლოცვის რიტუალია, რომელიც მექაში ყოველწლიურად ტარდება. პილიგრიმები სხვადასხვა მუსლიმური ქვეყნებიდან მექადან აღმოსავლეთით დაახლოებით, ხუთ კილომეტრში ლოცვით მსვლელობას აწყობენ. მომლოცველები იმ გზას გადიან, რომელიც გადმოცემის თანახმად წინასწარმეტყველმა მუჰამედმა განვლო.

ჰაჯი უდიდესი ყოველწლიური პილიგრიმობაა მსოფლიოში. ის მუსლიმური რელიგიის ხუთ მთავარ საყრდენთაგან ერთ-ერთია და ყველა ფიზიკურად ჯანმრთელი მუსლიმი ვალდებულია, სიცოცხლეში ერთხელ მაინც დაესწროს მას.

### უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.8071; ევრო - 3.0151;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5746;
100 რუბლი - 3.3627; თურქული ლირა - 0.0862;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6518;
1000 სომხური დრამი - 7.2246.

### ამინდი 21 ივნისისთვის

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +16, | დღე +33 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +11, | დღე +28 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +17, | დღე +29 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +12, | დღე +27 |
| თბილისი: | ღამე | +19, | დღე +31 |

საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე:
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი,**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი:
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი:
**შორენა გვილია.**
დამკაბადონებელი:
**გიორგი მახარაშვილი.**

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ განახლებული ლოგოს ავტორი:
**გიორგი ნადარეიშვილი**

**მისამართი:**
თბილისი. აკაკი წერეთლის # 116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
sak@sak.ge

**გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.**
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.
**ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.**
**საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე,**
აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

იბეჭდება სტამბა
**„კოლორში“**
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 616932

რეკლამისთვის დარეკეთ: 577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790